პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 ოქტომბერი, 1937 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 24 (46)

ხალხთა დიდ ბელადს—
ამხანაგ სტალინს

საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრება, მოწვეული საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში მონაწილეობის საკითხთა განსახილველად, მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებათა სულისჩამდგმელს, მსოფლიოში პირველი, ნამდვილად დემოკრატიული კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს, მთელი ქვეყნის მშრომელთა უსაყვარლეს მასწავლებელს და ბრძენ ბელადს.

თქვენის ბრძნული ხელმძღვანელობით, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მეთაურობით, ჩვენი სამშობლოს გმირმა ხალხმა უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ეს გამარჯვებები აღბეჭდილია თქვენის გენიით შთაგონებული უკვდავი დოკუმენტის, სოციალისტური თავისუფლებისა და თანასწორობის ბრწყინვალე ქარტიის, — დიადი სტალინური კონსტიტუციის ყოველ სიტყვაში.

მიუხედავად საერთაშორისო ფაშიზმის და მისი აგენტურის—ტროცკისტ-ბუხარინელ ნაძირალების—ჯაშუშ დივერსანტთა ამ უსაზიზღრესი ბანდის, მუხანათური ცდებისა—შეეფერხებიათ სოციალიზმის ძლევამოსილი წინსმვლელობა, საბჭოეთის დიადი ქვეყანა გადაიქცა სოციალიზმის ურყევ ციხე-სიმაგრედ, რომელმაც ხორცშესხმულ რეალობად აქცია კაცობრიობის საუკეთესო შვილთა უწმინდესი იდეალები.

დღეს, როდესაც ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი აჯამებს მის მიერ ოცი წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლისა და შრომის ბრწყინვალე შედეგებს, როდესაც ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელი განუსაზღვრელი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით ემზადება საბჭოთა მოქალაქის მაღალი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად, მილიონების გული და აზრი უსაზღვრო სიყვარულისა, მადლიერებისა და ერთგულების გრძნობით მომართულია თქვენსკენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ნუგეშო და სიამაყევ.

მიუხედავად ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტრების მზაკვრული ცდებისა—შეებღალათ ქართული საბჭოთა მწერლობის იდეური სიწმინდე და დაერღვიათ მისი ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, ქართული საბჭოთა მწერლობის ყველა სასიცოცხლო ძალა მჭიდროდაა დარაზმული კომუნიზმის დროშის ქვეშ და მზადაა მთელი თავისი ნიჭი და უნარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლეც, მთლიანად შესწიროს ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის საქმეს.

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

ვაშა და დიდება სოციალიზმის ორგანიზატორს ბოლშევიკთა პარტიას!

გაუმარჯოს სოციალისტური დემოკრატიის უკვდავი ქარტიის გენიალურ შემოქმედს, ჩვენს ბრძენს ბელადს, მამასა და მასწავლებელს — დიდ **სტალინს!**

ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს—
ამხანაგ ლავრენტი ბერიას

საქართველოს საბჭოთა მწერლები, შეკრებილნი სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნების სამზადისში მონაწილეობის ღონისძიებათა განსახილველად, მხურვალე სალამს გიძღვნიან თქვენ, ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს, დიდი **სტალინის** უერთგულეს მოწაფეს, ქართული საბჭოთა კულტურისა და მწერლობის დიდ მშენებელს, მეგობარსა და მოამაგეს.

ქართული საბჭოთა მწერლობა ყოველდღიურად გრძნობს თქვენს სტალინურ მზრუნველობასა და შეუნელებელ დახმარებას. თქვენი ბოლშევიკური მითითებანი სოციალისტური სამშობლოსადმი საბჭოთა მწერლის ვალდებულებისა და ლიტერატურულ ფრონტზე რევოლუციური სიფხიზლის გამძლიერების შესახებ ყოველდღიური მუშაობის პროგრამაა, რომლის განალდებისთვისაც თავდადებულად იბრძოლებს თვითეული საბჭოთა მწერალი.

ფაშიზმის სისხლიანი აგენტების,—ტროცკისტ-ბუხარინელ გარეწართა ქართველმა ნაბოლარებმა სცადეს გამოეყენებიათ ქართველი საბჭოთა მწერლობაც თავიანთ შავბნელი საქმეებისათვის, სცადეს შეებღალათ ჩვენი ლიტერატურის იდეური სიწმინდე, დაექსაქსათ საბჭოთა მწერლობის რიგები. უსაზღვროა ჩვენი ზიზღი და გულისწყრომა საბჭოთა მწერლობაში მუხანათურად შემოპარული გარეწრებისადმი, რომლებიც საბჭოთა მწერლის მაღალი სახელწოდებით შენიღბულნი ეწეოდნენ მოღალატურ-ჯაშუშურ მუშაობას ჩვენი სამშობლოსა და ხალხის წინააღმდეგ.

სიტყვას ვიძლევით, რომ დაუნდობლად გამოვამჟღავნებთ და გავანადგურებთ კონტრრევოლუციის ნამსხვრევებს ჩვენს რიგებში, რა ნიღაბსაც არ უნდა იფარებდნენ ისინი.

საბჭოთა მწერლობა უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და მჭიდროდაა დარაზმული ხალხთა ბელადის და გენიალური მასწავლებლის დიდი **სტალინის** გარშემო.

სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის სამზადისის პერიოდში ქართული საბჭოთა მწერლობა საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობით კიდევ ერთხელ დაამტკიცებს თავის უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, თავის მზადყოფნას მთელის ძალით და ენერგიით იბრძოლოს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილებისათვის.

ჩვენ, მწერლები, სიტყვას ვიძლევით ადამიანის ბედნიერებისა და სიხარულის ქარტიის — დიდი სტალინური კონსტიტუციის საკაცობრიო მნიშვნელობა აღვბეჭდოთ ჩვენს შემოქმედებაში, 12 დეკემბერს, არჩევნების დღეს, ჩვენ მივუძღვნით მხატვრულ კრებულს, რომელშიაც ავსახავთ საბჭოთა ხალხის ბედნიერებასა და საამურ ცხოვრებას.

გაუმარჯოს სოციალისტური დემოკრატიის უკვდავ ქარტიას—დიად სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა გენიალურ ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგულ შვილს, ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს — ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღის შესახებ
დადგენილება
სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

თანახმად საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის დადგენილებისა და „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-72 მუხლისა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე დაწესდეს არჩევნების ვადამდე არაუგვიანეს ორი თვისა და არასამუშაო დღეს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაინიშნოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები 1937 წლის 12 დეკემბრისათვის.

2. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის დასაწყისი გამოცხადდეს 1937 წლის 12 ოქტომბრიდან.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე —
მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ—სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი — ა. ანდრეევი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 11 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ
დადგენილება
სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 34 და 35 მუხლების საფუძველზე, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:** დამტკიცდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პეტრე გიორგის-ძე **მოსკატოვი**—პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ოტო იულის-ძე **შმიდტი**—უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გიორგი მაქსიმილიანის-ძე **მალენკოვი**—პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ნიკიტა სერგეის-ძე **ხრუშჩოვი**—მოსკოვის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

ალექსანდრე ივანეს-ძე **უგაროვი**—ლენინგრადის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

ლევ ზაქარიას-ძე **მეხლისი**—გაზეთ „პრავდის“ მუშაკთა კოლექტივისაგან,

მიხეილ ალექსანდრეს-ძე **შოლოხოვი**—საბჭოთა მწერლების კავშირისაგან,

ალექსანდრე ვასილის-ძე **კოსარევი**—ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან,

პავლე სიდორის-ძე **გორშენინი**—სსრ კავშირის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების (თავდაცვა-ავიაქიმი) ცენტრალური საბჭოსაგან,

ტატიანა პეტრეს-ასული **შაპოვალოვა**—ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ კოლმეურნეებისაგან,

ნიკოლოზ ფილიპეს-ძე **კოლესნიკი**—ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან,

მატრონა კუზმას-ასული **სიმონჟენკოვა**—„ოქტომბრის რევოლუციის“ სახ. ფაბრიკის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან,

ევდოკიმ ილარიონის-ძე **შაპოვალოვი**—კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობა „ნოვი მირის“ კოლმეურნეებისაგან,

დიმიტრი მათეს-ძე **ევტუშენკო**—კიევის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

უსმან **იუსუპოვი**—უზბეკეთის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ—
სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი — ა. ანდრეევი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 11 ოქტომბერი.

საინფორმაციო ცნობა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მორიგი პლენუმის შესახებ

11—12 ოქტომბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის საკითხები და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა მიიღო, გარდა ამისა, გადაწყვეტილება პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა შემადგენლობაში შეიყვანა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. ნ. ი. ეული.

საბჭოთა მწერლების საარჩევნო აქტივობისათვის

17 ოქტომბერს შესდგა უზენაეს საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი საბჭოთა მწერლების კრება.

კრებამ მოისმინა ამხ. **კ. ჩარკვიანის** მოხსენება მწერალთა მონაწილეობის შესახებ უზენაეს საბჭოს არჩევნებში ახალი, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

მომხსენებელმა მრავალი მაგალითით დაასაბუთა ბურჟუაზიული დემოკრატიის მატყუარობა და ცხადჰყო ის უფსკრული, რომელიც ბურჟუაზიული კონსტიტუციების სიტყვასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის არსებობს. მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში შეუძლია ხალხს ისარგებლოს ნამდვილი, შეუკვეცავი დემოკრატიული უფლებებით. აი, სწორედ ეს უფლებებია დაკანონებული დიად სტალინურ კონსტიტუციასა და ახალ საარჩევნო დებულებაში, რომლებშიაც თანმიმდევრობითაა განხორციელებული სრული დემოკრატიზმი. შემდეგ ამხ. კ. ჩარკვიანი ვრცლად შეჩერდა საბჭოთა მწერლების მონაწილეობაზე ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ სახალხო კამპანიაში — უზენაეს საბჭოს არჩევნებში.

მწერლებმა, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატებმა, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — როგორც იდეურად და პოლიტიკურად უფრო მოწინავე ნაწილმა საბჭოთა ინტელიგენციისა, პირველი ადგილი უნდა დაიჭირონ საარჩევნო კამპანიაში და უაქტიურესი მონაწილეობა მიიღონ უზენაეს საბჭოს არჩევნებში. მაგრამ იმისათვის, რომ ისინი ამ დიდი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, აუცილებელია მათ უფრო გაამახვილონ თავისი რევოლუციური სიფხიზლე და აამაღლონ პოლიტიკური მომზადების დონე, უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ მწერალთა ორგანიზაცია სიფხიზლის მხრივ დაბალ საფეხურზე აღმოჩნდა. ამით სარგებლობდნენ ხალხის შენიღბული მტრები, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში თვალთმაქცურად მოქმედებდნენ ლიტერატურის ფრონტზე. აუცილებელია დაძაბული მუშაობა მწერალთა მთელი აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. პირველ ყოვლისა, მწერალი უნდა იყოს ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე, თავის სოციალისტური სამშობლოს და მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი. ჩვენს ქვეყანაში მწერალს მოეპოვება ყოველგვარი პირობა მოქალაქეობრივი მოღვაწეობისა და ნაყოფიერი ლიტერატურული შემოქმედებისათვის. თითოეული ჩვენგანი ნათლად ხედავს თუ რა უდიდეს მზრუნველობას და შეუნელებელ ყურადღებას იჩენს მწერლობისადმი **ლენინ-სტალინის** პარტია, დიდი **სტალინი** და ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.** მწერლობამ უნდა დააფასოს ეს ყურადღება და არა სიტყვით, არამედ საქმით გაამართლოს პარტიის ეს დიდი ნდობა და მზრუნველობა.

ამ საარჩევნო პერიოდში საბჭოთა მწერლებმა უნდა გამოამჟღავნონ ნამდვილი საბჭოთა მოქალაქის მაღალი თვისებები, მხოლოდ ამ პირობის დაცვით შეიძლება მოიპოვოს მწერალმა თავისი ადგილი არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მწერლობა მოწოდებულია არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს თავის შემოქმედებითაც. მწერლები უნდა დაეხმარონ. პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თავის კალმითაც.

ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, მასთან ერთად საბჭოთა მწერლობა უდიდესი ენტუზიაზმით ჩაებმება არჩევნებში.

შემდეგ, მოკლე ინფორმაციით იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა მწერალთა კავშირის ხაზით საარჩევნო კამპანიისათვის, გამოვიდა ამხ. **ს. ეული.** არჩევნებამდე, — ამბობს იგი—მცირე დრო დარჩა, ჩვენ კი ბევრი არაფერი გვაქვს გაკეთებული. ჯერჯერობით მუშაობს მხოლოდ სტალინური კონსტიტუციის და საარჩევნო კანონის ორი შემსწავლელი წრე. საჭიროა არა მარტო ამ წრეებმა გააცხოველონ მუშაობა, არამედ მთელმა ჩვენმა ორგანიზაციამ მიიღოს ენერგიული ზომები მწერალთა საარჩევნო აქტივობის გასაძლიერებლად, არჩევნებში მწერალთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების გამოსამუშავებლად. სასიმღერო ლექსები, პლაკატების მხატვრული გაფორმება, საესტრადო ლექსები, ერთმოქმედებიანი პიესები, მხატვრული შემოქმედების ყველა ეს სახე გამოყენებული უნდა იქნას ამ დიდი საარჩევნო კამპანიისათვის. სექციებმა ამ თავითვე უნდა შემოიკრიბონ ყველა თავიანთი წევრები და არა მარტო აღებინონ მათ ვალდებულება, არამედ შეუქმნან პირობები დაკისრებულ ვალდებულების შესასრულებლად.

ამ დიდ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით მწერალთა პოლიტიკური რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების საჭიროებაზე, მწერალთა მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლების აუცილებლობაზე, არჩევნებში მწერალთა მონაწილეობის პრაქტიკულ საკითხებზე ილაპარაკეს: **კ. ბობოხიძემ, გ. ბუხნიკაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, დ. ბენაშვილმა, დ. შენგელაიამ, ვ. გორგაძემ, აკ. გაწერელიამ, რ. ქორქიამ, კონსტ. გამსახურდიამ, ბ. ჟღენტმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ლ. გეგეჭკორმა.**

— ყოველ ჩვენგანს, — ამბობენ მწერლები, — მართებს შეუნელებელი დაძაბული მუშაობა, რომ ავმაღლდეთ იდეურად, პოლიტიკურად, მორალურად, რომ საბოლოოდ ჩამოვირეცხოთ ის ჩირქი, რომელიც მთელს ჩვენს კოლექტივს მოსცხეს მწერლის ნიღაბქვეშ დამალულმა ხალხის გარეწარმა მტრებმა. ეს არჩევნები უნდა გადავაქციოთ მწერლის მოქალაქეობრივი აქტივობის და შემოქმედებითი თაოსნობის გამოცდად. საარჩევნო ყუთების წინ მთელი ჩვენი მწერლობა უნდა წარსდგეს არა მარტო, როგორც საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქე, არამედ, როგორც პოლიტიკურად და იდეურად მაღალ საფეხურზე მდგომი ფხიზელი შემოქმედი, რომელიც თავისი კალმით დაეხმარება პარტიას და ხელისუფლებას საარჩევნო კამპანიის ბრწყინვალედ ჩატარებაში. მწერლობამ არჩევნებისათვის უნდა უზრუნველყოს სიმღერების და ლექსების კრებულის გამოცემა.

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო მისალმების წერილი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** და ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. ბერიასადმი.**

ვემზადოთ უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის

უსაზღვრო აღფრთოვანებით იგებება ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად საბჭოთა სამწერლო საზოგადოებრივობა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნების დღის დანიშვნისა და წინასწარი საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ.

1937 წლის 12 დეკემბერი ბრწყინვალე თარიღად შევა საკაცობრიო ისტორიაში. ამ დღეს ჩატარდება უზენაეს საბჭოს არჩევნები — ნამდვილად და ბოლომდე დემოკრატიული არჩევნები, ჩვენი ხალხი ყოველგვარი შეზღუდვისა და გასაზღვრის გარეშე გამოხატავს თავის ნებისყოფას და თავისი სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფოებრივი მმართველობის უზენაეს ორგანოში აირჩევს თავის საუკეთესო შვილებს, **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისადმი თავდადებულად ერთგულ სახელოვან ადამიანებს.

სსრკ უზაენაეს საბჭოს საარჩევნო კამპანია დაიწყო მაშინ, როცა სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა ემზადება უდიდესი პროლეტარული დღესასწაულისათვის — დიადი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. ეს შეხვედრა შემთხვევითი როდია. სწორედ იმ გმირული ბრძოლების შედეგად, რომელიც სახელოვანმა საბჭოთა ხალხმა ამ 20 წლის მანძილზე აწარმოვა, იმ საერთაშორისო ისტორიულ მნიშვნელობის გამარჯვებათა საფუძველზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ამ 20 წლის განმავლობაში მოიპოვა, საბჭოთა ხალხმა გამოსჭედა სოციალისტური დემოკრატიის უკვდავი ხარტია — დიადი სტალინური კონსტიტუცია, ეს კონსტიტუცია ითვალისწინებს სრულყოფილად დემოკრატიულ — ნამდვილად საყოველთაო, ნამდვილად თანასწორ, ფარულ და პირდაპირ საარჩევნო სისტემას, რომელშიაც მთელი სიბრძნით და სიცხადით გამოხატულია თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ხალხის შეუზღუდველი უფლებები. საბჭოთა მოქალაქის საარჩევნო უფლება განუსაზღვრელია, იგი მთლიანად დამყარებულია დიადი სტალინური კონსტიტუციის პრინციპებზე და უკუაგდებს ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემებისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი ცენზის თუ საარჩევნო უფლების სხვა შემზღუდველ პირობათა შესაძლებლობას.

უდიდესი სიხარულის და სიამაყის გრძნობით მიდიან ჩვენი ქვეყნის მშრომელი მილიონები საარჩევნო ყუთებთან, რათა განახორციელონ მათ მიერ გმირული ბრძოლებისა და დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მოპოვებული სრულყოფილი საარჩევნო უფლება, რომელიც უაღრესის მჭერმეტყველებით გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის მშენებელმა ქვეყანამ ხორცშესხმულ რეალობად აქცია კაცობრიობის საუკეთესო შვილთა უმაღლესი იდეალები — თავისუფლებისა და დემოკრატიზმის დიადი პრინციპები.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში საბჭოთა ხალხი შეაჯამებს მის მიერ ჩვენი გმირული მუშათა კლასის მეთაურობით, **სტალინის** სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ უდიდეს გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ამიტომ საარჩევნო კამპანია კიდევ უფრო გააღრმავებს და გააძლიერებს საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის — **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა უსაყვარლეს მასწავლებლისა და გენიალური ბელადის—დიდი **სტალინისადმი.**

საარჩევნო კამპანია კიდევ უფრო გააძლიერებს ძლევამოსილი საბჭოთა ხალხის რისხვას და გულისწყრომას სოციალიზმის მოსისხლე მტრებისადმი, ჩვენი სამშობლოს გამარჯვებებით გაცოფებული სისხლიანი ფაშიზმის გარეწარი აგენტებისადმი — ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშებისა და დივერსანტებისადმი. საბჭოთა ხალხმა უბოროტეს დანაშაულზე წაუსწრო სოციალიზმის ამ დაუძინებელ მტრებს, მუხანათურად შენიღბულ ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს და დაუნდობლად გაანადგურა ისინი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქაიქ ჯერ კიდევ არ იმალებოდნენ ამ გარეწართა ბანდების ნაბოლარები, განადგურებული კონტრრევოლუციის უკანასკნელი ნამსხვრევები. ცხადია, ისინი შეეცდებიან ხელი შეუშალონ საარჩევნო კამპანიის წარმატებით მიმდინარეობას, შეაფერხონ საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი დარაზმულობის საქმე ამ დიად პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებულ ამოცანების გარშემო. ამიტომ, სსრკ უზენაესს საბჭოს არჩევნებისათვის სამზადისის პერიოდში კიდევ უფრო უნდა გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე, რათა დაუნდობლად გამოვამჟღავნოთ და გავაცამტვეროთ განადგურებული კონტრრევოლუციის უკანასკნელი წარჩენები.

საარჩევნო კამპანია, რომელიც უკვე დაიწყო, წარმოადგენს უაღრესად მასიურ და უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიებას. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი სამშობლოს თვითეულმა მოქალაქემ ზედმიწევნით იცოდეს სოციალისტური საარჩევნო სისტემა და აქედან გამომდინარე უდიდესი უფლება-მოვალეობანი. სსრკ უზენაესს საბჭოს არჩევნებს მთელი საბჭოთა ხალხი უნდა შეხვდეს უაღრესი ორგანიზებული აქტივობით და დარაზმულობით.

საარჩევნო კამპანია უდიდეს საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს საბჭოთა მწერლობის წინაშე. არჩევნების სამზადისის პერიოდში საბჭოთა მწერლობამ განსაკუთრებულის სიცხადით უნდა გვიჩვენოს, რომ იგი მართლაც ნამდვილად ხალხური მწერლობაა, რომელიც უმჭიდროესათ დაკავშირებულია მასების საუკეთესო მისწრაფებებთან და ორგანიულად მონაწილეობს ჩვენი ხალხის უდიდეს საბრძოლო ამოცანათა განხორციელებაში.

მშრომელი მასების იმ არაჩვეულებრივი ამოძრავებისა და პოლიტიკური აქტივობის გარემოცვაში, რომელსაც ადგილი აქვს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ძლიერებით უნდა გაისმას საბჭოთა მწერლის ხმა, რომელმაც კიდევ უფრო მეტად უნდა გააცხოველოს მშრომელი მასების საბრძოლო ენტუზიაზმი.

მხატვრული სიტყვა — მასების დარაზმვის ეს უძლიერესი საშუალება მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული არჩევნებისათვის სამზადისის პერიოდში. საბჭოთა მწერლობამ სწორედ აქ უნდა გვიჩვენოს მასებზე შემოქმედების უნარი, ძალა, რომელიც დამახასიათებელი უნდა იყოს სოციალისტური ეპოქის ლიტერატურისათვის.

საბჭოთა მწერლობის მთელმა კოლექტივმა, თითოეულმა საბჭოთა მწერალმა მთელი ძალღონით უნდა იბრძოლოს ამ უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. საბჭოთა მწერლობამ ბრწყინვალედ უნდა ჩააბაროს ის გამოცდა, რომლის წინაშეც მას აყენებს უზენაეს საბჭოს საარჩევნო კამპანია.

უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელმა წრემ მწერალთა სასახლეში დაიწყო მუშაობა

15 ოქტომბერს მწერალთა სასახლეში შესდგა უზენაეს საბჭოს საარჩევნო დებულების შემსწავლელ წრის პირველი მეცადინეობა. დებულების შესწავლისადმი საბჭოთა მწერლები დიდ ინტერესს იჩენენ. მეცადინეობას დაესწრო 40-მდე მწერალი. წრეს ხელმძღვანელობს ამხ. **შ. რადიანი.**

მწერლები ემზადებიან სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის

სსრ კავშირის ცაკის დადგენილება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 და 35 მუხლების და „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 21, 22, 23 და 24 მუხლების საფუძველზე, სსრ კავშირის ცაკმა ა. წ. 11 ოქტომბერს დაადგინა შეიქმნას კავშირის საბჭოს არჩევნების 569 საარჩევნო ოლქი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 574 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილია შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ა) კავშირის საბჭოს არჩევნებისათვის:

სოხუმის საარჩევნო ოლქი № 501 (ცენტრი—ქ. სოხუმი).

ქ. სოხუმი და რაიონები: სოხუმის, გაგრის, გუდაუთისა და ოჩამჩირის.

ბათუმის საარჩევნო ოლქი № 502 (ცენტრი—ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს, მახარაძისა და ჩოხატაურის.

ფოთის საარჩევნო ოლქი № 503 (ცენტრი—ქ. ფოთი).

ქ. ფოთი გარეუბნებით და რაიონები: მიხა ცხაკაიასი, გალის, ზუგდიდის, ზემო-სვანეთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ხობის.

სამტრედიის საარჩევნო ოლქი № 504 (ცენტრი—ქ. სამტრედია).

რაიონები: სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშის, წულუკიძის, ლანჩხუთისა და ვანის.

ქუთაისის საარჩევნო ოლქი № 505 (ცენტრი—ქ. ქუთაისი).

რაიონები: ქუთაისის, ქვემო-სვანეთის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულისა და ონის.

ჭიათურის საარჩევნო ოლქი № 506 (ცენტრი—ქ. ჭიათურა).

რაიონები: ჩხარის, ზესტაფონის, ჭიათურის, ბაღდათისა და ორჯონიკიძის.

ბორჯომის საარჩევნო ოლქი № 507 (ცენტრი—ქ. ბორჯომი).

რაიონები: ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის.

გორის საარჩევნო ოლქი № 508 (ცენტრი—ქ. გორი).

ქ. სტალინირი და რაიონები: გორის, სტალინირის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავისა და ხაშურის.

თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქი № 509 (ცენტრი—ქ. თბილისი, სტალინის რაისაბჭო).

ქ. თბილისის რაიონები: ლენინის, სტალინისა და 26 კომუნარის სახელობის.

თბილისის—კიროვის საარჩევნო ოლქი № 510 (ცენტრი—ქ. თბილისი, კიროვის რაისაბჭო).

ქ. თბილისის რაიონები: ორჯონიკიძის სახელობის, კიროვის სახელობისა და სასოფლო რაიონები: ლუქსემბურგის, ბორჩალოსი და ბაშკიჩეთის.

თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 511 (ცენტრი—ქ. თბილისი).

რაიონები: კასპის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, საგარეჯოს, ყარაიას, ალბულახისა და თბილისის.

თელავის საარჩევნო ოლქი № 512 (ცენტრი—ქ. თელავი).

რაიონები: ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, თელავისა და გურჯაანის.

ბ) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკიდან.

სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 101 (ცენტრი—ქ. სოხუმი).

ქ. სოხუმი და რაიონები: გაგრისა და გუდაუთის.

სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 102 (ცენტრი—ქ. სოხუმი).

რაიონები: სოხუმისა და ოჩამჩირის.

ფოთის საარჩევნო ოლქი № 103 (ცენტრი—ქ. ფოთი).

ქ. ფოთი გარეუბნებით და რაიონები: მიხა ცხაკაიასი, ხობისა და აბაშის.

ზუგდიდის საარჩევნო ოლქი № 104 (ცენტრი—ქ. ზუგდიდი).

რაიონები: ზუგდიდის, გალისა და ზემო-სვანეთის.

გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი № 105 (ცენტრი—სოფ. გეგეჭკორი).

რაიონები: გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და წულუკიძის.

ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი № 106 (ცენტრი—სოფ. ჩოხატაური).

რაიონები: მახარაძის, ქობულეთისა და ჩოხატაურის.

ბათუმის საარჩევნო ოლქი № 107 (ცენტრი—ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედისა და ხულოსი.

სამტრედიის საარჩევნო ოლქი № 108 (ცენტრი—ქ. სამტრედია).

რაიონები: სამტრედიის, ლანჩხუთისა და ვანის.

ზესტაფონის საარჩევნო ოლქი № 109 (ცენტრი—ქ. ზესტაფონი).

რაიონები: ზესტაფონის, ჩხარისა და ბაღდათის.

ქუთაისის საარჩევნო ოლქი № 110 (ცენტრი—ქ. ქუთაისი).

ქ. ქუთაისი და ქუთაისის რაიონი.

ამბროლაურის საარჩევნო ოლქი № 111 (ცენტრი—სოფ. ამბროლაური).

რაიონები: ამბროლაურის, ტყიბულის, ონის, ცაგერისა და ქვემო-სვანეთის.

ჭიათურის საარჩევნო ოლქი № 112 (ცენტრი—ქ. ჭიათურა).

რაიონები: ჭიათურისა და ორჯონიკიძის.

ხაშურის საარჩევნო ოლქი № 113 (ცენტრი—ქ. ხაშური).

რაიონები: ხაშურისა და ბორჯომის.

ახალციხის საარჩევნო ოლქი № 114 (ცენტრი—ქ. ახალციხე).

რაიონები: ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის.

ახალქალაქის საარჩევნო ოლქი № 115 (ცენტრი—ქ. ახალქალაქი).

რაიონები: ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის.

გორის საარჩევნო ოლქი № 116 (ცენტრი—ქ. გორი).

რაიონები: გორისა და კასპის.

სტალინირის საარჩევნო ოლქი № 117 (ცენტრი—ქ. სტალინირი).

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონები: სტალინირის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის.

თბილისის—ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 118 (ცენტრი—ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო).

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონი და ალბულახის სასოფლო რაიონი.

თბილისის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 119 (ცენტრი—ქ. თბილისი, კიროვის რაისაბჭო).

ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონი და თბილისის სასოფლო რაიონი.

თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქი № 120 (ცენტრი—ქ. თბილისი, სტალინის რაისაბჭო).

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონი და სასოფლო რაიონები: ლუქსემბურგისა და ბაშკიჩეთის.

თბილისის 26 კომუნარის სახელობის საარჩევნო ოლქი № 121 (ცენტრი—ქ. თბილისი, 26 კომუნარის სახელობის რაისაბჭო).

ქ. თბილისის 26 კომუნარის სახელობის რაიონი და ბორჩალოს სასოფლო რაიონი.

თბილისის—ლენინის საარჩევნო ოლქი № 122 (ცენტრი—ქ. თბილისი, ლენინის რაისაბჭო).

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონი და სასოფლო რაიონები: ყაზბეგისა და დუშეთის.

თელავის საარჩევნო ოლქი № 123 (ცენტრი—ქ. თელავი).

რაიონები: თელავის, ყვარლისა და თიანეთის.

სიღნაღის საარჩევნო ოლქი № 124 (ცენტრი—ქ. სიღნაღი).

რაიონები: სიღნაღისა და ლაგოდეხის.

გურჯაანის საარჩევნო ოლქი № 125 (ცენტრი—ქ. გურჯაანი).

რაიონები: გურჯაანის, საგარეჯოსი და ყარაიასი.

გ) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან.

გაგრის საარჩევნო ოლქი № 276 (ცენტრი—ქ. გაგრა).

ქ. გაგრა და გაგრის რაიონი (სოფლსაბჭოები: მეხადირის, მიხელრიპშის, ახალი გაგრის, პილენკოვოსი, სალმეის, ხოლოდნორეჩინსკის, ხოშჩუპსისა და ხრისტოფოროვის).

კალდახვარის საარჩევნო ოლქი № 277 (ცენტრი—სოფ. კალდახვარი).

რაიონები: გაგრის (სოფლსაბჭოები: ალხაძინის, კალდახვარისა და კოლხიდის) და გუდაუთის (სოფლსაბჭოები: კავალუკის, კალდახვარის, ლიძავის, ჯირხვის, ბლაბურხვის, ოთხარის, მუგურძიხვის, ზვანდრიპშის, ბარმიშის, მიუსერისა და ხოპის).

გუდაუთის საარჩევნო ოლქი № 278 (ცენტრი—ქ. გუდაუთი).

ქ. გუდაუთი და გუდაუთის რაიონი (სოფლსაბჭოები: აბგარხუკის, აფხაზური ანუხვის, სომხური ანუხვის, აცინის, აჩანდარის, ბაკლანოვკის, ბომბორის, დურიპშის, კულანურხვის, ლიხნის, მწარის, ზღვისპირისა და ფსირცხის).

სოხუმი — კარლ ლიბკნეხტის საარჩევნო ოლქი № 279 (ცენტრი—ქ. სოხუმი).

ქ. სოხუმის მარცხენა ნაწილი ლიბკნეხტის ქუჩისა და კამანის გზატკეცილის საზღვრებში და სოხუმის რაიონის გუმისტის სოფლსაბჭო.

სოხუმი—საქალაქო საარჩევნო ოლქი № 280 (ცენტრი—ქ. სოხუმი).

ქ. სოხუმის მარჯვენა ნაწილი კარლ ლიბკნეხტის ქუჩისა და კამანის გზატკეცილის საზღვრებში და სოხუმის რაიონის ვოლოდარსკის სოფლსაბჭო.

სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 281 (ცენტრი—ქ. სოხუმი).

სოხუმის რაიონი სოფლსაბჭოები: პიუხუსის, წხარო-შუბარის, სომხური ეშერის, მიხაილოვკის, ანდრეევკის, კონსტანტინოვკის, ბეშყარდაშის, ეკატერინინსკის, აფხაზური ეშერის, ოლგინსკისა და მერხეულის).

გულრიპშის საარჩევნო ოლქი № 282 (ცენტრი—სოფ. გულრიპში).

სოხუმის რაიონი (სოფლსაბჭოები: აჭარის, ანასტასიევკის, ვლადიმირსკის, გულრიპშის, დრანდის, ლატის, წებელდისა და აზანთის).

ოჩამჩირის საარჩევნო ოლქი № 283 (ცენტრი—ქ. ოჩამჩირე).

ქ. ოჩამჩირე და ოჩამჩირის რაიონი (სოფლსაბჭოები: აძიუბჟის, არაგიჩის, აფხაზური ატარის, სომხური ატარის, ჯგერდის, გვადის, კოჩარის, კვითოულის, კინდის, ტამიშის, ლაბრის, მოქვისა და ილორის).

ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი № 284 (ცენტრი—დაბა ტყვარჩელი).

ოჩამჩირის რაიონი (სოფლსაბჭოები: ბესლახუბის, ოხურეის, პოკვეშის, აკვასკის, მორკულის, ჯალის, თხინის, ჭილოვის, ატაპის, არასაძიხის, გუპსის, ტყვარჩელის, პერვომბედინის, ჩხორტოლის, აგუბედინის, რეკინის და ტყვარჩელის დაბის საბჭო).

გალის ცენტრალური საარჩევნო ოლქი № 285 (ცენტრი—სოფ. გალი)

გალის რაიონი (სოფლსაბჭოები: ჭუბურისხინის, საბერიოს, ლაკუხონის, რეჩხო-ცხირის, დიხაზურგის, გუმურიშის, ოქუმის, მუხურის, ცარჩეის, მე-2 ედინის, აჩიგვარისა და პირველი გალის).

გალის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 286 (ცენტრი — სოფ. გალი).

გალის რაიონი (სოფლსაბჭოები: ცხირო - გალის, რეპოშმელეთის, გუდავის, ხუმუშკურის, ზემო-ვარგების, ქვემო-ვარგების, გაგიდის, ოტობაიას, პიჩორის ნაბაკევის, ტაგილავისა და სიდის).

დ) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის აჭარის ასს რესპუბლიკიდან.

ბათუმი - შაუმიანის საარჩევნო ოლქი № 287 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში: ლეიტენანტ შმიდტის ქუჩა, ზღვის პირი, შაუმიანის ქუჩის კენტი ნომრები, ლ. ბერიას ქუჩა.

ბათუმი — ბერიას საარჩევნო ოლქი № 288 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში: შაუმიანის ქუჩის წყვილი ნომრები, ზღვის პირი არდაგნის ყაზარმებამდე, ლ. ბერიას ქუჩა.

ბათუმი — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი № 289 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში — ფრუნზეს ქუჩა, ლეიტენანტ შმიდტის ქუჩა, ლ. ბერიას ქუჩა (ჩათვლით), არდაგნის ყაზარმები (ჩათვლით), ქალაქის ფარგალი.

ბათუმი — ზღვის პირა საარჩევნო ოლქი № 290 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში: ფრუნზეს ქუჩა (ჩათვლით), ზღვის პირი, ქალაქის ფარგალი.

ქობულეთის საარჩევნო ოლქი № 291 (ცენტრი — სოფ. ქობულეთი).

ქობულეთის რაიონი (სოფლსაბჭოები: ვოროშილოვის, მუხა-ესტატესი, ლელვის, ქაქუთის, ქობულეთის, ჩახათისა და ზერაბოსელის).

ჩაქვის საარჩევნო ოლქი № 292 (ცენტრი—სოფ. ჩაქვი).

ქობულეთის რაიონი (სოფლსაბჭოები: ჩაქვის, ხალის, დაგვის, კვირიკესი და ხუცუბნის).

კაპანდიბის საარჩევნო ოლქი № 293 (ცენტრი—სოფ. კაპანდიბი).

ბათუმის რაიონი (სოფლსაბჭოები: კაპანდიბის, გონიოს, თხილნარის, აჭარისწყალის, კირნათის, აჭარისაღმართისა და მახუნცეთის).

ურეხის საარჩევნო ოლქი № 294 (ცენტრი — სოფ. ურეხი).

ბათუმის რაიონი (სოფლსაბჭოები: ურეხის, ახალშენის, ორთაბათუმის, მახინჯაურის, კახაბერის).

ქედის საარჩევნო ოლქი № 295 (ცენტრი—სოფ. ქედა).

ქედის რაიონი.

ხულოს საარჩევნო ოლქი № 296 (ცენტრი—სოფ. ხულო).

ხულოს რაიონი (სოფლსაბჭოები: ხულოსი, რიკეთის, დიდაჭარის, აგარის, ღორჯომისა და ხიხაძირის).

შუახევის საარჩევნო ოლქი № 297 (ცენტრი—სოფ. შუახევი).

ხულოს რაიონი (სოფლსაბჭოები: წყლისაყარის, ჩვანის, შუახევის, უჩამბის, დღვანის, შუბანის, სხალთის, ყარადირისა და კინჭაურის).

ე) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან.

სტალინირის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 558 (ცენტრი ქ. სტალინირი).

ქ. სტალინირი და სტალინირის რაიონი (სოფლსაბჭოები: ძარის, ქემერტის, ქურთის, სტალინირისა და წონარის).

სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 559 (ცენტრი—ქ. სტალინირი).

სტალინირის რაიონი (სოფლსაბჭოები: არწევის, ზელოთის, ბიყლარის, ვანათის, ჯერეთის, გრომის, ფრისაჭისა და სათიხარის).

ზნაურის საარჩევნო ოლქი № 560 (ცენტრი—სოფ. ზნაური).

ზნაურის რაიონი.

ლენინგორის საარჩევნო ოლქი № 561 (ცენტრი—სოფ. ლენინგორი).

ლენინგორის რაიონი.

ჯავის საარჩევნო ოლქი № 562 (ცენტრი—სოფ. ჯავა).

ჯავის რაიონი.

მთელი ჩვენი შესაძლებლობით

სანდრო ეული

ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფალი და ბედნიერი მოსახლეობა სიამაყის და სიხარულის გრძნობით ემზადება სტალინური საარჩევნო კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის. ა/წლის 12 დეკემბერს ჩვენი ქვეყნის მრავალ მილიონიანი ხალხი აირჩევს თავის საუკეთესო შვილებს კავშირის უზენაეს საბჭოში, მათ შორის მსოფლიოს მშრომელთა უდიდეს და საყვარელ ბელადს ამხანაგ **სტალინს**. არ არის არც ერთი ადამიანი, არც ერთი მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, რომელიც სტალინური ეპოქის მზით ანთებული გულით არ ემზადებოდეს უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის.

ამხანაგო მწერლებო! ჩვენს წინაშე, როგორც მოქალაქეების და შემოქმედებისა, დიდი ამოცანა დგას — გამოვეხმაუროთ თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობით ამ დიად საქმეს.

ყოველგვარი გამოწვევის გარეშე თვითეულმა ჩვენგანმა უნდა სთქვას თავისი პოეტური სიტყვა.

ჩვენ უნდა შევქმნათ ღირსეული ლექსები, სიმღერები, მცირე ჟანრის პიესები, წარწერები პლაკატებისათვის და სხვა.

პირადად მე ვწერ რამდენიმე სასიმღერო და საპლაკატო ლექსს.

საბჭოთა არჩევნები — გრანდიოზული სიმფონია

ვალ. გაფრინდაშვილი

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არჩევნები კომედიაა, როდესაც კაპიტალისტები ატყუებენ და სჩაგრავენ ყოველგვარი საშუალებით მშრომელთა მასებს. ჩვენი არჩევნების გრანდიოზულ სიმფონიას ჰქმნიან ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მილიონები მთელი თავიანთი მიღწევებით და გამარჯვებებით. კაცობრიობის ისტორიაში ეს არჩევნები აღიბეჭდება ოქროს ასოებით, როგორც ახალი სიმაღლეები მშრომელთა წინსვლისა და განვითარებისათვის. ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ვამაყობთ იმით, რომ ვცხოვრობთ სტალინურ ეპოქაში, როდესაც იქმნება სინამდვილის შესანიშნავი პოემა. მტრები ხედავენ ჩვენს დაუძლეველ მიღწევებს და ანთხევენ შხამს. სტალინური კონსტიტუცია არის საფუძველი ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისა და მომავალი წარმატებისა.

ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ისოდენ დაფასებულნი პარტიისა და მშრომელების მიერ, მხურვალე მონაწილეობას მივიღებთ (ნარკვევებით, ლექსებით, წერილებით) საარჩევნო კანონის პროპაგანდაში. არც ერთი მწერალი არ უნდა დარჩეს ამ ღირსშესანიშნავი კამპანიის გარეშე.

მე პირადად ლექსებით გამოვეხმაურები არჩევნებს.

არჩევნები, რომელიც მთელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული

ლეო ქიაჩელი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე დანიშნულია.

ეს დღე ყოველი საბჭოთა მოქალაქისაგან პოლიტიკური შეგნების გამახვილებას და მოქალაქეობრივი ნებისყოფის დაძაბვას მოითხოვს.

სტალინური კონსტიტუცია გვირგვინია ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ოცი წლის უმაგალითო ბრძოლისა და სწორუპოვარი შრომისა, რომლებიც საფუძვლად დაედვნენ კაცობრიობის ახალ ისტორიას.

უზენაესი საბჭო ჩვენ გვევლინება როგორც უმაღლესი ორგანო იმ ღონისძიებათა განმახორციელებელი, რომლებიც ახალი ისტორიის გზებს სწორედ წარმართავენ და მის უდიდეს მიზნებს ხორცს შეასხამენ.

ამ შეგნებამ უნდა განსაზღვროს საბჭოთა მოქალაქის ნებისყოფა არჩევნების დღეს.

და ჩვენი ხმაც იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვისაც მიჰყავს მსოფლიო კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ — ჩვენს დიდ ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს**.

უბედნიერესი დღე

ვ. გორგაძე

ჩვენ, დიდი **სტალინის** ეპოქის თანამედროვენი, უმშვენიერესს ეპოქაში ვცხოვრობთ.

ის, რაზედაც კაცობრიობის საუკეთესო შვილები ათეული საუკუნის განმავლობაში ოცნებობდა, სინამდვილედ იქცა.

მშრომელი კაცობრიობის ბედნიერება — სტალინურ კონსტიტუციაში განხორციელდა. სტალინური კონსტიტუცია ჩვენი სამური, კულტურული ცხოვრების საფუძველია. მის ოქროს ფურცლებზე აღბეჭდილია საბჭოთა მოქალაქის უფლება განათლებასა, შრომასა და დასვენებაზე.

ორი თვის შემდეგ სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა კავშირის მშრომელები ხმას მისცემენ ქვეყნის გულის — უზენაესი საბჭოს ღირსეულ კანდიდატებს.

12 დეკემბერი საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში შევა, როგორც უბედნიერესი დღის თარიღი.

არჩევნების სამზადისში მე გავაკეთე შემდეგი: დავწერე და გადავეცი „მნათობს“ დასაბეჭდად ლექსების ციკლი თავდაცვის თემაზე, ჩვენს სახელოვან სამშობლოსა და ძლევამოსილ წითელ არმიაზე. უახლოეს დღეებში დავწერ რამდენიმე ლირიკულ ლექსს და ბალადას ჩვენი გაზეთის „ლიტერატ. საქართველოსთვის“. ამას გარდა, მივიღებ აქტიურ მონაწილეობას სიტყვიერ აგიტაციაში და ლიტერატურულ საღამოებში, რომლებიც მოეწყობა ქარხნებსა და კოლმეურნეობებში არჩევნების მზადების პერიოდში.

ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში

ალიო მაშაშვილი

ორდენოსანი პოეტი

ახლოვდება 12 დეკემბერი—საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი ზეიმი. ამდღეს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნები გააგზავნიან თავიანთ სახელოვან წარმომადგენლებს ლენინ-სტალინის სამშობლოს უზენაეს მართველობაში. დგება სრულიად ახალი ერა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. უკვე ხორცი შეესხა მსოფლიოში ჯერ არნახულ და ბურჟუაზიულ წესწყობილების პირობებში შეუძლებელს იდეას—ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის იდეას. კაცობრიობის ამ საოცნებო მიზნის განხორციელება მოხდა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყანაში, ჩვენი ბრძენი ბელადის **სტალინის** ქვეყანაში. 12 დეკემბერი კიდევ ერთი შეტევის დღეა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. სისხლიანი ფაშიზმის მუხანათი ჯაშუშები ჩვენში შეეცდებიან ხელი შეუშალონ ამ საარჩევნო კამპანიას. მაგრამ ამაოდ: ყოველი საბჭოთა მოქალაქე, ყოველი გულწრფელი წევრი ჩვენი ოჯახისა—კლდესავით დადგება მათ წინააღმდეგ. ჩვენ, საბჭოთა მწერლებსაც გვმართებს დიდი მუშაობის ჩატარება საბჭოთა საარჩევნო კანონის პოპულარიზაციისათვის მშრომელთა მასებში. ყოველი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია კარგად იცოდეს ეს კანონი. როცა უკანასკნელს ხალხი მასიურად შეიგნებს, მაშინ, უდავოა მტრები ველარ შესძლებენ ხალხის უზენაეს მმართველობაში გაძრომას, რა სახის ნიღაბსაც არ მიმართონ მათ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი დებულების ფართო მასებში გაცნობის მიზნით აწარმოებს ინტენსიურ მუშაობას. პირადად მე ვხელმძღვანელობ მწერლების ერთ-ერთ ბრიგადას, რომელიც მიემგზავრება რაიონებში და ჩაატარებს მთელ რიგს საუბრების, მოხსენებების და მხატვრულ საღამოებს საარჩევნო კამპანიისა და დიადი ოქტომბრის 20 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით.

ჩვენ ხმასთან ერთად სიცოცხლესაც გავიღებთ სტალინური კონსტიტუციისათვის

დემნა შენგელაია

ოქტომბრის დიადი რევოლუციის ოცი წლისთავისა და უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის სამზადისი მეტად დიდი და საპატიო მოწოდებაა საბჭოთა მწერლისათვის. ეს მაღალი მოწოდება ავალებს მას მთელი პასუხისმგებლობით მოეპყრას ამ ამოცანას. მან მტკიცედ უნდა გამოაჩინოს თავისი სიყვარული სამშობლოს, ხელისუფლებისა და **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი. ყოველი საბჭოთა ადამიანი განიცდის უზომო სიხარულს, რომ ის მოქალაქეა უშესანიშნავესი ქვეყნისა, სადაც არსებობს ხალხთა თავისუფლება და ამ ხალხს აქვს კონსტიტუცია, რომლის ბადალი სხვაგან არ არსებობს. თავისუფლების ეს ხარტია ახალსა და ახალ პლასტებს სწევს სამზეოზე ხალხთა წიაღიდან. ჩვენი ქვეყანა მტკიცდება, ძლიერდება, და ის მომავალი, რომელზედაც მთელი ისტორიის მანძილზე ოცნებობდა კაცობრიობა, ჩვენთვის უკვე აღარ არის ოცნება, ის დღევანდელი დღეა. ეს სინამდვილე გვავალებს ჩვენ. უშუალო მონაწილეობა მივიღოთ ამ საარჩევნო სამზადისში, გავწიოთ აგიტაცია-პროპაგანდა ლექსებით, მოთხრობებითა და დრამატიული ნაწარმოებებით. საბჭოთა მწერალმა უნდა გამოამჟღავნოს მთელი თავისი შეგნება, ენტუზიაზმი და უნარი, რომ ის ნამდვილი მოქალაქეა თავისი საყვარელი ქვეყნისა და მუდამ ფხიზლად დგას სადარაჯოზე. ჩვენ ხმასთან ერთად სიცოცხლესაც გავიღებთ, თუ საჭირო იქნება, ჩვენ სტალინური კონსტიტუციისათვის, რომლისთვისაც ბევრი სისხლი, ცრემლი და ოფლი დაუღვრიათ წარსულ თაობებს.

ჩვენ საბჭოთა მზეს არ დავანებებთ ტროცკისტ - ბუხარინელთა კონტრრევოლუციურ წუნკლებს. მათი გაბოროტება და ცოფის რწყევა ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ გვრაზმავს ჩვენი ღვიძლი **ლენინ-სტალინის** პარტიის ირგვლივ.

სტალინური კონსტიტუციის მზე გვინათებს ჩვენ დღევანდელ დღეს, დღეს, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის, დღეს, რომელიც ასე კაშკაშებს და ამ დღის განმტკიცებისათვის უნდა ვიბრძოლოთ და დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას მომავალი არჩევნების ერთსულოვნად და ღირსეულად ჩატარებისათვის.

მზადება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის

მწერალთა კავშირში

სალიტერატურო ორგანოები

14 ოქტომბერს შესდგა მწერალთა კავშირის სამდივნოს, სექციების ხელმძღვანელთა და გამომცემლობების (სახელგამის, „ფედერაცია“-ს და „ზარია ვოსტოკა“-ს) წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა.

მოსმენილ იქნა მოხსენება საოქტომბრო მზადების შესახებ. სამდივნომ დაამტკიცა „ლიტ. საქართველოს“ „მნათობი“-ს და „ჩვენი თაობა“-ს რედაქციების მიერ შედგენილი საოქტომბრო ნომრების შინაარსი.

რედაქციების მიერ წარმოდგენილი გეგმების თანახმად საიუბილეო ნომრებში მოთავსებული იქნება საუკეთესო მწერლების მხატვრული მასალა და მეცნიერულ-კრიტიკული წერილები ქართული ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების შესახებ ამ ოცი წლის განმავლობაში.

საოქტომბრო დღესასწაულში მწერალთა მონაწილეობა

ოქტომბრის ოცი წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლად სამდივნომ გამოჰყო კომისია ამხ. ს. ეულის, ი. მოსაშვილის და რ. გვეტაძის შემადგენლობით. კომისიას ევალება მოაგვაროს მწერალთა კავშირის წევრების და თანამშრომლების მონაწილეობა საერთო დემონსტრაციაში, საზეიმო საღამოს მოწყობა მწერალთა კავშირში, საოქტომბრო საიუბილეო კედლის გაზეთის გამოშვება და მწერლების მონაწილეობა საწარმოებსა და დაწესებულებებში გამართულ საზეიმო საღამოებში.

გამომცემლობანი

განიხილა რა სახელგამის, „ფედერაციის“ და „ზარია ვოსტოკა“-ს მიერ წარმოდგენილი ოქტომბრისათვის გამოსაცემ წიგნების გეგმა, სამდივნომ დაადგინა: გამომც. „ფედერაციამ“ 7 ნოემბრისათვის უზრუნველყოს კოლხიდაზე დაწერილ ლექსთა კრებულის, აფხაზური საბჭოთა მწერლობის კრებულის, ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა კრებულის, აგრეთვე პ. პავლენკოს რომანის „აღმოსავლეთში“ და ალიო მაშაშვილის ახალი პოემის „ენგურის“ გამოცემა. სახელგამმა — თავდაცვითი ლიტერატურის კრებულის, კრიტიკული წერილების კრებულის და სხვ. გამოცემა.

„ზარია ვოსტოკის“ გამომცემლობამ 7 ნოემბრისათვის უნდა გამოსცეს რუსულ ენაზე აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კრებული, სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების კრებული და კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები.

ა. კ. წ. არმიის სახლში

ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის ა/კავკასიის წითელი არმიის სახლში გაიხსნება დიდი გამოფენა—18 განყოფილებად. გამოფენაზე ექსპონატების სახით წარმოდგენილი იქნება საბჭოთა კავშირის მიერ გავლილი პერიოდი, თებერვლის რევოლუციიდან დღემდე; პარალელურად ამისა წარმოდგენილი იქნება კაპიტალისტური წესწყობილება, ფაშისტური საპყრობილე, ესპანეთის ამბები და სხვ. ყოველ ექსპონატთან იქნება დართული შესაფერისი ლიტერატურა, ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ვრცელი ახსნა-განმარტება.

წ/არმიის სახლში მოეწყობა ლიტერატურული საღამოები: „დიადი ოქტომბერი“ — მხატვრული კითხვით, სიმღერებით, კინო-ფილმების ჩვენებით და სხვ, „საბჭოთა ლიტერატურის ფრონტი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის“ — გაიმართება საუბრები, მოხსენებები, მხატვრული კითხვა და მწერლებთან შეხვედრა და „სამოქალაქო ომი მხატვრულ ლიტერატურაში“ — ფილმების ჩვენებით, ხმამაღალი კითხვით, გამოცდილი წითელ გვარდიელების თხრობით და სხვ.

საქართველოს რადიოკომიტეტში

საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალური სექტორი შეუდგა მზადებას ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის. მუსიკალური სექტორი აწყობს მასობრივი სიმღერების შესწავლას რადიოს საშუალებით. შესწავლილი იქნება საბჭოთა კომპოზიტორების რევოლუციური სიმღერები: ბუკიასი — მარში „ცხენოსნური ლაშქრული“, კრუჩინინისა—„საგაზაფხულო ფიზკულტურული სიმღერა“, კილაძისა — **„სტალინი“** და ფილმ „დარიკო“-დან დარიკოს სიმღერა, მუსიკა ტუსკიასი.

გადაიცემა ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟები თემებზე: სტალინური კონსტიტუცია, სსრკ მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლო, ხალხთა მეგობრობა და სხვა. მოეწყობა რამდენიმე მასობრივი რევოლუციური სიმღერების გადაცემა საბჭოთა ფილმებიდან. ცალკე იქნება გადაცემული სიმღერები: **ლენინზე**, **სტალინზე**, სამშობლოს თავდაცვაზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე და რევოლუციურ ესპანეთზე. ორი გადაცემა დაეთმობა სცენის საუკეთესო ძალების გამოსვლას მიკროფონთან, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ დრამატიული და ოპერის თეატრის საუკეთესო დამსახურებული და ორდენოსანი მსახიობები.

სპეციალური კონცერტი მოეწყობა თემაზე: საქართველოს კომპოზიტორები ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის. შესრულებული იქნება ზეიმებისათვის დაწერილი სპეციალური ნაწარმოებები: კომპ. კილაძისა—„ოქტომბრის სიმფონია“, კომპ. კოკელაძისა — „სიმფონიური პოემა“, კომპ. ბუკიასი — „მარში“, კომპ. მშველიძისა — „კონტანტა **სტალინი**“, გაბიჩვაძისა — საზეიმო მარში“, ნარიმანიძისა—„რაპსოდია“ და სხვადასხვა კომპოზიტორის მასობრივი სიმღერები.

გადაცემული იქნება მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური შემოქმედება. სხვათაშორის 9 ნოემბერს მოეწყობა სამი ქალაქის — ბაქოს, თბილისის და ერევანის მუსიკოსთა კონცერტი, რომლის პროგრამაშიც შეტანილია მოძმე რესპუბლიკების შემოქმედება და ხალხთა სიმღერები **სტალინზე**.

ბედნიერია ამ უდიდესი აქტის მონაწილე

ილო მოსაშვილი

12 დეკემბერს—დიდი საბჭოეთის მრავალმილიონიანი ხალხი მთელი ქვეყნების წინაშე დაამტკიცებს თავის განუსაზღვრელ ნდობას და ერთგულებას **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი და უზენაეს საბჭოში აირჩევს მხოლოდ იმათ, ვინც გმირული შრომით და ბრძოლით თავი ისახელეს, როგორც ჩვენი ქვეყნის ღირსეულმა შვილებმა.

ჩვენ, საბჭოთა მწერლები, რომელთაც ასეთი მზრუნველობით და სიყვარულით გვზრდის და გვავაჟკაცებს ბოლშევიკური პარტია, ვცდილობთ მთელი გულით ვუმღეროთ ჩვენს საყვარელ სტალინურ სამშობლოს, ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას, რადგან ამდენი სიხარული არც ერთი თაობის ადამიანს არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა, როგორც ჩვენ; რადგან ისე მიმზიდველი, ლამაზი და მრავალფეროვანი არასდროს არ ყოფილა ცხოვრება, როგორც დღეს—დიდს სტალინურს ეპოქაში.

უსაზიზღრესი ტროცკისტ-ბუხარინულ ფაშისტური ჯაშუშები ცდილობდნენ კაპიტალიზმის მონური უღელი ისევ შემოეთრიათ ჩვენს განთავისუფლებულ ქვეყანაში, მაგრამ ხალხის რისხვამ ისინი დაუნდობლად გასრისა და თუ კიდევ ვინმე აქა-იქ გველის სოროში მიმალულა, მათი ფესვებიც ძირიანად იქნება ამოთხრილი.

და ჩვენ, მთელი ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ხალხთან ერთად, გავსწევთ არჩევნებზე, რომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ ჩვენი ურყევი ერთგულება დიდი ოქტომბრის გენიალურ მედროშეს—**ლენინ-სტალინის** დიად პარტიას და ჩვენს საყვარელ ბელადს და მასწავლებელს დიდ **სტალინს**.

არც ერთი მტერი და ორჭოფი არ უნდა გაგვეპაროს საბჭოში

სერგო კლდიაშვილი

როცა მე მონაწილეობას ვღებულობ საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს არჩევნებში, მე ვიცი, რომ ვმონაწილეობ დიადი სამშობლოს აყვავებაში, იმ მშრომელთა გაბედნიერებაში, რომელთა საშინელ წამებას წარსულში გვიხატავდნენ ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ოსტატები.

დებულების დაწვრილებით შესწავლა გვმართებს ყველას, ვინც პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებათა და მიღწევების განმტკიცებით არის დაინტერესებული. ეს დებულება ჩვენ იარაღად მოგვცა დიდი **ლენინ-სტალინის** პარტიამ და ეს იარაღი ჩვენდა საბედნიეროდ უნდა მოვიმარჯვოთ. არც ერთი მტერი და ორჭოფი არ უნდა გაგვეპაროს საბჭოში. ხალხის ბედნიერების გამოჭედვა და განმტკიცება მხოლოდ სტალინური მშენებლობით შეიარაღებულ ადამიანებს შეუძლიათ.

მთელი ქვეყანა ემზადება არჩევნებისათვის. ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა შეუწყოს ხელი მის წარმატებით ჩატარებას. ვისაც რისი ღონე შესწევს ის უნდა გააკეთოს. მე პირადათ მზად ვარ მთელი ჩემი უნარი გამოვიჩინო მოსამზადებელ მუშაობაში. ალბათ, საჭირო იქნება ტიტრების დამზადება, წარწერები სააგიტაციო პლაკატებისათვის, ფელეტონები, ნარკვევები,—და მზად ვარ სხვა მწერლებთან ერთად ვიკისრო ეს ჩემთვის საპატიო ვალდებულება.

საარჩევნო კამპანიაში უახლოესი მონაწილეობა არის საქმე ყველა პარტიულ და არაპარტიული ბოლშევიკისათვის, ყველა იმისათვის, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია თავის სამშობლოს ბედნიერების განმტკიცებით.

საბჭოთა ხალხის სიხარულის დღე

იაკინთე ლისაშვილი

თორმეტი დეკემბერი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა სიხარულის დღე არის. ამ დღეს სტალინური კონსტიტუციის მიხედვით საბჭოთა ხალხი ხმას მისცემს და უზენაეს საბჭოში აირჩევს ჩვენი სამშობლოს ყველაზე საიმედო, საყვარელ შვილებს და მით დაანახვებს მთელს ქვეყანას თუ რას ნიშნავს თავისუფალი ადამიანის უფლება, რას ნიშნავს ნამდვილი დემოკრატიზმი.

ის რაც განუხორციელებელი და შეუძლებელია კაპიტალისტურ ქვეყნებში — მთელი სისრულით განხორციელდა გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყანაში.

ჩვენ, საბჭოთა მწერლები უდიდესი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით ვხვდებით ამ შესანიშნავ დღეს, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ არასოდეს გათენებია.

ალიო მაშაშვილი

„ე ნ გ უ რ ი"

(თავი პოემიდან)

აღმოსავლეთით
გაჩნდა ხანძარი,
გაწითლებულა
მთა მახლობელი,
ამოგიზგიზდა
უზარმაზარი
მზე განთიადის
მახარობელი!
და ფრინველებმა
ხმებით მწყაზარით
ქვეყანას უთხრეს
სალამბელი!
ქარმა ღრუბელი მოიგერია,
და მოგორგოთებს გზის
ნაპირებით,
მწყობრად მიდიან, მოიმღერიან
ხეტყის მუშათა ბრიგადირები!
გმირებს მოელის ხეტყე მოჭრილი,
ხრამში ზედიზედ ყრია მძინარი,
რომ ტყვეებივით მხრებ-შებოჭილი
ჩამოიყვანონ ენგურ მდინარით!
მათი სიმღერა და ნაბიჯები
ბარად მოსაზღვრე მთებსაც ხვდებიან,
გადმოხტებიან სოფლის ბიჭები,
ტოლ-ამხანაგებს ურთდებიან!
ჰყივის ყვინჩილა: მზე ვიხილეთ,
ღვიძავთ, ახელენ სირქმლებს სახლები,
მამლების გუნდი მოირის ლილეოს,
შორს კანტიკუნტად ჰყეფენ ძაღლები!
სახე ნათელი
და გულ-ვარდება
მზეს ერიამულით
ხვდება სოფელი,
ველზე გაშლილი
მწვანე ფარდებად
ბრწყინავს ბალახი,
ნამით სოველი,
აფეთქდება-და
ცაში ვარდება
მტრედი მაშხალის
გამასწრობელი!
გადმოიარეს პატარა ზონდიც,
მწყობრად მოდიან, მოიმღერიან,
ლია ლენდიაც მათ შორის მიდის,
მღერის, კისერი მოუღერია:
ახალი მზე ამოსულა
ქვეყნის მანათობელი,
„გამოგივლი სამუშაოდ,
გავახაროთ სოფელი"!
ჰა, ჩაიარეს ბურდუს ჭიშკარიც,
ეზოს გახედეს მწვანე ფარჩიანს,
ბრიგადა მიდის და მიიჩქარის,
ბურდუ ვერავინ ვერ შეამჩნია!
გაწევ-გამოწევს ჭიშკარს
ბორდღუნით
და კისრის მტრევით ტოვებს
ალაგს,
— მეც, მეც მოვდივარ!—იძახის
ბურდუ
და უკან მისდევს ტოლ-ამხანაგებს.
ვერ დაეწია, მუშებს მანამდი
გაევლოთ ღელე და ხეივანი.
შეჩერდა, მის წინ შეჩერდა
ლანდიც,
მისებრ ულონო და ხეიბარი!
წავიდნენ, გზისპირ მარტოკა
დარჩა.
მიწყდა სიმღერაც, დაყრუვდნენ
მთებიც,
თვალს მოეფარენ, არ ბჟუტავს, არ
ჩანს
ლია ლენდიას შუქურა თმები!
წინ ხეა, ჩრდილი ქვეშ აფენია,
ხე ჯერ ნორჩია, თმა-გაფურჩქვენილი,
ქარი ქოჩორში ხეს ჩაფრენია,
ხე არ მიყვება დედის ურჩევით!
დარჩა, დაღონდა,
თვალნაღვლიანი
დაეშვა ჯოხზე
გულდაბჯენილი —
დაღონდა, როგორც
მგზავრი გვიანი,
მგზავრი ქარავანს
ჩამორჩენილი!

წრე გაშალეს, ნარნარი ხმით
აღუღუნდა დაირა,
გამოგოგდა გოგო-ბიჭი
დუმდაირა-დაირა:
—გუშინ მთიდან ჩამორბოდი
ნაკადული მეგონე.
— ტყეში ვიყავ, ჩემს საყვარელს
მკერდზე გადავეკონე!
— შენი წარბი და წამწამი,
ჩემი გულის მახეა.
— შიგ მალი-მალ თუ გაები,
ეს რა სიამაყეა!
— ქალო, თვალებს რომ მარიდებ,
ნუთუ სხვაზე გამცვალე?
— ქერა ბიჭო, იქით წადი,
შავო შენ გენაცვალე!
— სთქვი, ვინ გიყვარს, ვინ
დამლუპა,
შენგან გულდაჭრილი-მე.
— ყური მიგდე, ჩუმად გეტყვი,
შენ მიყვარხარ ჭირიმე!
— პირში ენა გიფართხალებს,
ენა კალმახისებრო,
— თავს მადგია შენი ჩრდილი,
მხარბეჭ ალვახისებრო!
— წელს რა გახდა პირნახული,
სახლში ვეღარ ვზიდევი.
— სამასამდე შრომადღე მაქვს,
ჰი, ჩემი მზითევი!
— ცაზე მთვარე ამოსულა,
ნიშანია დარისა,
— საამური ცხოვრებისთვის
გენაცვალე სტალინსა!

არის ჟღარუნი ტაშის, დაირის,
სიცილ-კისკისი, ცეკვა-თამაში,
მხიარულება ჯერ ამნაირი
არ მოსწრებია ხალხს ამ დაბაში!
ვარდ-ყვავილების
ალაყაფებით
ძირს ფიანდაზი
ძევს ბუნებრივი,
აცოცებულან
ხეზე ბავშვები,
ტოტზე დამსხდარან
ბელურებივით!
მათ უნდა ნახონ თვალისჩინი,
გულს მოლოდინი იპყრობს. იტაცებს,
როგორ შეხვდება ხალხი ზეიმით
დღეს მთავრობიდან მოსულ
„დიდკაცებს"!
როგორ გახსნიან ეზოს დარბაზს
ქარხნის საყვირის ცაში ღაღადით,
როგორ ასტეხენ დავიდარაბას,
როცა გაჩნდება ხალხში ქაღალდი?!
ქარს გაუფანტავს განგებ ნისლები,
ცა კრიალაა, მზეც შუქმფენია,
ხისძირად სოფლის დარბაისლები
დამსხდარან, ჩრდილი ქვეშ უფენიათ!
მათემ სთქვა: ჯიბუ, შენც გახსოვს, ალბათ,
აქ ოდეს გავლა უჭირდა ურმებს,
ახლა? რა არის, ხომ ხედავ, ბაბა,
ესეც ბელადის აზრია თურმე!
მეორემ წარბი
გადიხსნა თვალზე
და შორიახლო
დაიწყო მღერა:
— აქეთ უქმურიც გაწყდება ხვალ
ზეგ,
სტალინს უთქვამს—და, უთუოდ
მჯერა!
საერთო ძალით და მუშაობით
ვიბრძვით, ეგ არის გულს რომ
ჰკაფებს,
განადგურდება ჭალი, ჭაობი,
ნარინჯთა ცეცხლი დასწვავს
ლაქაშებს!

ყრუ მასლაათით
ხისძირას, იქვე
ერთი მეორეს
ანდობდა ფიქრებს:
— ჰი, ეს ფული მიიღე ახლა,
რა იცი? საქმე იქ როგორ მიდის?
— წყალი გაუშინჯეთ, ხის მორებს,
ნახავ,
სულ რია-რია მიჰქონდეს ხიდიც!
ვაი, თუ სადმე წამოგცდა შიშით
ეს ჩვენი დარდი და გასაჭირი?
— დღეიდან ნაღველს ჩავიდგამ
პირში,
აბა, რას ამბობ, ბესა, სქანჭირი?

შორს კი: ლულუნი
ისმის დაირის,
გახურებულა
ცეკვა-თამაში,
მხიარულება ჯერ ამნაირი
არ მოსწრებია ხალხს ამ დაბაში!
უცებ გავარდა თოფი ყირიმის
და არემარე
შესძრა ჯახანმა,
მახარობელი მორბის ყვირილით:
უკვე ქაღალდი შობა ქარხანამ!
წამოიშალნენ, აჰყვნენ ერთმანეთს,
ჩოჩქოლით ქარხნის კართან
დგებიან,
პარმაღზე ხარბათ შემოხედავენ
ვაჟკაცს ტანმორჩილს,
სათვალებიანს!
იცნეს, იელვა
ღიმილმა ხალხში,
ელვას თან მოჰყვა
ქუხილი ტაშის...
მან შრომის გმირებს უხსენა
მკლავი
და ვაჟკაცური გულის ნადები,
ხელთ აიტაცა ქაღალდის ხვავი
და ხალხს მოჰფინა, როგორც
ნათელი!
შემოესივნენ ჩოჩქოლით ქაღალდს,
ხელიხელ გლეჯენ, ჰკვირდებიან,
ჰკიდებიან ერთმანეთს ხარბად,
თითქოს-და, ცეცხლი წაკიდებიათ!
კაცი კაცს მისდევს კალთებდაჭერით,
აჰა, იგმირა მათე მოხუცმა,
იგდო ქაღალდის ერთი ნაჭერი
და სიხარულით სახლში
მოკურცხლა!
ბედნიერია ის ამ საღამოს,
რას მოსწრებია, რა ტკბილ
დროებას,
მირბის, საყვარელ შვილს რომ
ახაროს
შრომის ორდენით დაჯილდოება!

მზადება რუსთველის იუბილესათვის

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა რუსთველის იუბილესათვის უშვებს „საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომების მე-5 კვეთის სპეციალურად რუსთველის იუბილესადმი მიძღვნილ ნომერს. კრებულში შევა: 1. „ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა შოთა რუსთველისა და „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ სომხურ ენაზე", — პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა; 2. „ბიბლიოგრაფიულ-ლიტერატურული მიმოხილვა რუსთველის შესახებ ევროპულ და რუსულ ენებზე", — ბიბლიოთეკის მეცნიერულ მუშაკთა ნაშრომი: 3. „ცნობები „ვეფხის-ტყაოსნის" პირველი აკადემიური (ქართველიშვილის) გამოცემის შესახებ", — სოლომონ იორდანიშვილისა; 4. „ვეფხის-ტყაოსნის" ხელთნაწერების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა",—სოლ. იორდანიშვილისა და 5. „კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა „ვეფხის ტყაოსნის" ყველა გამოცემებისა".

წიგნში დაახლოვებით 10 ფორმა იქნება. გამოვა დეკემბრის შუა რიცხვებისათვის.

გარდა ამისა, მკითხველთა ფართო მასებისათვის ბიბლიოთეკაში მოეწყობა ლექციებისა და მოხსენებების ციკლი: „საქართველო რუსთველის დროს", „რუსთველის შესწავლის ისტორიისათვის", „რუსთველი—პოეტი - თეორეტიკოსი", „რუსთველის ვინაობისათვის", „მეგობრობა და სიყვარული „ვეფხის - ტყაოსანში", „პლატონი და რუსთველი", „რუსთველის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში" და სხვა.

საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალური სექტორი

საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალური სექტორი რუსთველის იუბილესათვის აწყობს მუსიკალური გადაცემების ციკლს. მუსიკალური ციკლის პროგრამაში შეტანილი იქნება სპეციალურად შეკვეთილი ნაწარმოებები შოთა რუსთველისა და მისი „ვეფხის-ტყაოსნის" გარშემო: კომპ. გაბიჩვაძისა — „ორატორია" (ლიბრეტო „ვეფხის-ტყაოსნის" მიხედვით გიორგი ნადირაძისა); „ორატორია" შესრულებული იქნება სიმფონიური კონცერტის, გუნდის და სოლისტების მონაწილეობით, კომპ. მშველიძის „სუიტა" ორკესტრისა, გუნდისა და სოლისტებისათვის; კომპ. ანდრიაშვილისა—„სიმფონია", კომპ. მაჭავარიანისა—„სიმფონიური სურათი", კომპ. ბუკიასი — „სიმფონიის პირველი ნაწილი", კომპ. კურტიდისა—„კონტატა", კომპ. შავერზაშვილისა—„საკონცერტო არია", კომპ. ტოკელაძისა—რომანსები და გუნდური ნაწარმოებები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად და სხვა.

გარდა ამისა, მუსიკალური სექტორი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს რადიოკომიტეტის დრამატიულ-ლიტერატურული სექტორის გადაცემების მონტაჟში, სხვადასხვა გუნდების და მომღერლების გამოსვლაში და სხვა.

ა. კ. წ. არმიის სახლში

შოთა რუსთველის იუბილესათვის ა/კ. წ/არმიის სახლში მოეწყობა გამოფენა: წარმოდგენილი იქნება „ვეფხის ტყაოსნის" გამოცემები, ილუსტრაციები, კრიტიკული წიგნები და სხვა ექსპონატები.

საიუბილეო ზეიმებისათვის წ/არმიის სახლი სცემს „წითელი მებრძოლის სახსოვარს", რომელშიაც შევა შოთა რუსთველის პორტრეტი, სახკომსაბჭოს დადგენილება, იუბილეის ჩატარების შესახებ, ბიოგრაფიული ნარკვევი, კრიტიკული წერილი „ვეფხის ტყაოსანზე", წითელ მებრძოლთა და მათი ცოლების აზრები შოთა რუსთველზე და მის „ვეფხის ტყაოსანზე", საკითხავი წიგნების დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია და სხვ.

წ/არმიის სახლში დღემდე ჩატარებულია სამი მოხსენება: პროფ. ვ. ბერიძის „შოთა რუსთველი და მისი „ვეფხის ტყაოსანი", „სოციალური წყობა შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსნის" მიხედვით" და გ. აბზიანიძის — „შოთა რუსთველის შემოქმედება", მომავალში წ/ არმიის უფროს შემადგენლობისა და მათი ცოლებისათვის ჩატარებული იქნება ექვსი მოხსენება. წ/არმიის სახლში მოეწყობა ლიტერატურული საღამოები საქართველოს მწერლებთან ერთად.

უმცროს მეთაურთათვის მოეწყობა საუბრები და კინო-ფილმის „ქაჯეთის" ჩვენება სპეციალური ახსნა-განმარტებით.

დღესასწაული დამთავრდება დიდი საზეიმო საღამოთი.

ზეიმების ჩატარებაში ჩაბმული იქნება ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების საუკეთესო ძალები.

წითელი არმიის ნაწილებში

წითელ არმიის ნაწილებში შოთა რუსთველის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყობა რუსთველის კუთხეები — პორტრეტით, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით, „ვეფხის ტყაოსნის" მოკლე შინაარსით და რჩევა-დარიგებით, თუ რა წაიკითხონ რუსთველის შესახებ.

შეძლებისდაგვარად ყოველ ნაწილში მოეწყობა გამოფენები. გარდა ამისა, ნაწილებში ჩატარებული იქნება კვალიფიციური ძალებით — მოხსენებები, ლექციები, საუბრები, „ვეფხის ტყაოსნის" ხმამაღალი კითხვა ახსნა-განმარტებით. ნაჩვენები იქნება შესავალი სიტყვით ფილმი „ქაჯეთი".

ნაწილებში არსებული ლიტერატურული წრეები იმუშავებენ „ვეფხის ტყაოსნის" დაწვრილებით შესწავლაზე.

„საჰაერო განგაში"

5 ოქტომბერს საბავშვო ლიტსექციის სხდომაზე საბავშვო მწერალმა **ილია სიხარულიძემ** წაიკითხა თავისი ახალი პოემა „საჰაერო განგაში". განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: **ხ. ეულმა, წ. ნაკაშიძემ, კ. ბობოხიძემ, რ. ქორქიამ, დ. ახვლედიანმა და ბ. ჭანიშვილმა.**

პოემა თემატიურად აქტუალურია და მას ერთგვარი წვლილი შეაქვს ჩვენს **თავდაცვითი საბავშვო ლიტერატურის შექმნაში.** უმცროს ასაკისათვის თავდაცვითი შინაარსის პოემა ჯერ არც დაწერილა. ზოგიერთი ადგილების სტილისტური შესწორების და ბუნდოვანი ადგილების შეცვლის შემდეგ პოემას ინტერესით წაიკითხავს ჩვენი ნორჩი მოზარდი მკითხველი.

დასასრულ ამხ. ი. სიხარულიძე დაეთანხმა მწერლების მიერ აღნიშნული მითითებების საფუძველზე გადაამუშაოს პოემა და დაბეჭდილ იქნეს იგი ოქტომბრის ოცი წლისთავისთვის.

სამხედრო სიმღერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ა შ ქ რ უ ლ ი

სანდრო ეული

1. ვშობილვართ მთებში,
ვშობილვართ ბარად,
კასპიის ზღვიდან
ვიდრე შავ ზღვამდე, —
ოფლი ტანჯვებში
გვდიოდა ღვარად,
გზაში გვიფენდა
მზე სხივთა ფარდებს.—
ვშობილვართ მთებში
ვშობილვართ ბარად...

2. ვანგრევთ ძველსა და
ვაშენებთ ახალს
მხრეჰშ ვუდგევართ
მუშას და გლეხსა,
მტერი ეცადა
ჩვენს ძვლებათ დახრას,
მოსისხლე მტრები
გვებრძვიან დღესაც
ვანგრევთ ძველსა და
ვაშენებთ ახალს...

3. ვდგავართ მთებივით,
ვგავართ ქარიშხალს,
ვიცავთ ლომივით
საბჭოთა მხარეს, —
არმიელები
საბჭოთა მიწას
მტრებს არ დაუთმობს, —
მტრებს არ ახარებს.
ვდგავართ მთებივით, —
ვგავართ ქარიშხალს...

მხედრული სიმღერა

სიო. ხიდისთაველი

დიდ სამშობლოს მკერდით ვიცავთ,
საზღვრებს ვუვლით მამაცურად,
ჩვენს საყვარელ სტალინს ვფიცავთ,
მტრებს დავხვდებით ვაჟკაცურად!..

ვერაგი და გამყიდველი
მაინც გვყავდა შინ თუ გარეთ
და ვინც იყო მათი მცველი,
მათ ვაგემეთ ხვედრი მწარე...

გაუცრუვდათ იმედები
მშრომელ ხალხის სისხლის მსმელებს
და დაემსხვრათ მტრული ფრთები
ჩვენი ქვეყნის გამყიდველებს,

უბოროტეს მტრების მცველებს,
საბჭოეთის თავდამსხმელებს,
ომის ცეცხლის გამჩაღებლებს,
ცბიერებს და გაიძვერებს...

დიდ სამშობლოს მკერდით ვიცავთ,
საზღვრებს ვუვლით მამაცურად,
ჩვენს საყვარელ სტალინს ვფიცავთ,
მტრებს დავხვდებით ვაჟკაცურად...



ზაფარნა (პატარა სუფრა) (ქართული ხელსაქმის გამოფენიდან)

რუსთველისადმი

კალე ბობოხიძე

ჩვენი სამშობლო წლობით
მწუხარე,
ათასჯერ მტრისგან ნაალაფარი,
დღეს მხიარული და პირმცინარე
მოგესალმება ლამაზ მთა-ბარით!

შთამომავლობის სიბრძნე შენა ხარ
ქართველი ერის ყრმობის
ლამპარი,
შენს სიდიადეს ვერვინ შელახავს
დგეხარ, ვით მუხა ფესვებმაგარი!

შენი სახელი შორიდან ბრწყინავს
დიდ პოეზიის ცეცხლით
გამთბარი,
ვერ მიეკაროს შენს ხსოვნას ყინვა
და გააფთრება მკაცრი ზამთარის!

შენი შაირის ყოველი ბწკარი
იბრძვის და რჩება უკვდავი მარად.
და კომუნიზმის რიჟრაჟთან
მდგარი
ხალხი გადიდებს მთაში და ბარად.

გადიდებს ყველა: კაცი და ქალი,
ხმა მთელს ქვეყანას გადაწვდენია
და დიდ წინაპარს მზრუნველი
თვალით
გიცქერს ბელადი—ხალხთა გენია!

შენ,—პოეზიის მჩქეფარ მდინარეს
კავკასიონის კლდეთა საფარით
მარად მებრძოლს და მარად
მცინარეს
ქვეყნის მნათობელს სიბრძნის
ლამპარით —

ვერვინ გიხილავს იყო მწუხარე,
დადუმდეს სიტყვა შუქთა
მთოვარი,
შენი გენია სხივმომფინარე,
შენი შაირი შიოპოვარი!..

ქ. კაპანელი

რუსთველის ესთეტიკა

2. ბუნება და ადამიანი რუსთველის პოემაში

რუსთველის პოემაში საყურადღებო ადგილი უკავია კოსმოგრაფიულ - ასტრონომიულ წარმოდგენებსა და სურათებს. მზისა და მნათობების თაყვანისცემა საერთოდ დამახასიათებელია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის შორეული წარსულისათვის. არა მარტო აღმოსავლეთის წარმართული ქვეყნები, არამედ ქრისტიანობაც განიცდის ისტორიულად მზისა და მნათობების კულტის გავლენას, ასტრალური კულტი აღმოსავლეთიდან ძველად დასავლეთში გავიდა: დანტე ალიგიერი მოწიწებით და თაყვანისცემით იხსენიებს, თუ როგორ იშლებიან სამყაროში „მზის ელვათა ფენანი".

სხვადასხვა ხალხს დღემდე შენარჩუნებული აქვს მნათობთა სახელებიდან წარმოშობილი დღეების სახელები: მეგრული - თუთაშხა—მთვარის დღე—ორშაბათია, ფრანგული mardi —მარსის დღე—სამშაბათი, ინგლისური Saturng —სატურნის დღე—შაბათი. ლეონტი მროველის მეფეთა ისტორიაში ნათქვამია: „უბრძანა ალექსანდრე (მაკედონელმა) აზონს, რათა პატივისცემდენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა".

აქედან ცხადია, რომ მზის თაყვანისცემა საერთოა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურებისათვის ერთნაირად წარმართებისა და ქრისტიანებისათვის.

რუსთველის წარმოსახვაში მზის, მნათობის და საერთოდ სამყაროს პატივისცემა სრულებით არ ატარებს დოგმატურ - რელიგიურ ხასიათს: რუსთველის წინაშე სამყაროს დაუსრულებლობაზე დგას არა შეშინებული, სტიქიების ძლიერებით დამორჩილებული ადამიანი, არამედ გამარჯვებისა და სილამაზის ყველა თვისებით შემკული ადამიანი.

რუსთველი საერთოდ წინააღმდეგია სამყაროსადმი დოგმატური და კულტობრივი დამოკიდებულებისა. სამყაროს სიდიადეთა და სილამაზეთა შორის რუსთველი ყველაზე მაღლა აყენებს ადამიანის სიდიადესა და სილამაზეს — ადამიანობასა და ვაჟკაცობას საერთოდ. რუსთველის პოემაში პლანეტებსა და მნათობებს მიეწერებათ ადამიანური ინტერესების ცენზურაში გატარებული თვისებები: მზე, მთვარე, ზუალი, ოტარიდი და სხვა პლანეტები და მნათობები რუსთველს წარმოდგენილი აქვს ადამიანური მძლეობის, სურვილების, განცდების გამტარებელ—ანალიზატორებად. რუსთველის გაგებით მზე ისეთივე სიმბოლოა, როგორც მთვარე, ვეფხი, ლომი, გველი („გამოეშვა მთვარე გველსა").

რუსთველის თქმა ყოველთვის სავსეა მეტაფორებით, მეტონიმებით, სიმბოლური ნიშნებით. „აღმოსავლური" გაგება ქვეყნისა, გაგება დოგმატური, კულტობრივი რუსთველმა უარჰყო: სამყაროსა და ადამიანებს შორის არსებული უფსკრული, აღმოსავლეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ იდეებში მოცემული, რუსთველმა ამოავსო ელინური ხასიათის სოფლშეგრძნობით, საიდანაც ადამიანი გამოიყურება როგორც სამყაროს სიდიადე და სიამაყე, რუსთველის სამყარო გაადამიანებულია და შეფერადებული ესთეტიური განცდების ამყოლეობით: ზუალი შავია, მუშთარი — ლურჯი, მარიხი — წითელი, მზე — ყვითელი, ასპიროზი — თეთრი, ოტარიდი — ცისფერი. გარკვეული ფერი მხოლოდ ნიშანია, გარეგანი გამოსახულებაა იმ თვისებებისა, რომელთა მატარებელიც არის თითოეული პლანეტა, თითოეული მნათობი. ხოლო სამყაროს მოვლენათა და სანახაობათა თვისება ანთროპომორფიზებულია. ზუალი მრისხანებისა და ბოროტების სიმბოლოა, მუშთარი — ცხოვრების მომწესრიგებელი, მარიხი — ომისა და ძლიერების განსახიერება, ასპიროზი — სიყვარულის ნიშანი, ოტარიდი — მოხერხებისა და გამჭრიახობის ინკარნაცია.

აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდ პატივსა სცემდნენ მნათობებს. უდაბნოების ბნელ ღამეებში მნათობთა მხიარული ციმციმი ყურადღებას იქცევდა. ამბობენ, ნინევიაში, ექბატანაში ობსერვატორიები იყოო, ხშირად შვიდსართულიანი, რაც შვიდი მნათობისა, მათი თვისებების სიმბოლიურ გამოსახულებას წარმოადგენდა. ბერძენთა ფილოსოფოსის პლატონის ესთეტიურ წარმოსახვაში მნათობთა სამყარომ პირველი ადგილი დაიკავა. ამ სამყაროს გამონადენად მიიჩნია პლატონმა მოვლობა ნივთებისა, მოვლენებისა, სტიქიებისა, რომელთაც ამ ქვეყნად ვხედავთ.

დანტე ალიგიერი „ღვთაებრივი კომედიის" მეორე ნაწილში ასე მიმართავს მზეს: „ჰოი, ტკბილო მნათობო, ჩემო დიდო იმედო, წაგვიყვანე ამ ახალი გზით". რუსთველი მზეს ფილოსოფიურად ეუბნება: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვიან მზიანსა ღამისად, ერთ არსებისა ერთისა, მას უჟამოსა ჟამისად". რუსთველის თქმაში ფილოსოფიური სიღრმე ისმის; საშუალო საუკუნეების ცხოვრებას რუსთველი მზიან ღამეს ეძახის, ხოლო მზეს — ამ მზიანი ღამის აზრის, არსის გამოსახულებას! იღებს რა სამყაროს, როგორც მთლიანობის გრანდიოზულ სანახაობას, რუსთველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანს, მის მოქმედებას, აზრისა და ნების ურთიერთობას. ადამიანი, რუსთველის წარმოდგენით, სამყაროს მთლიანობის, მისი უსაზღვროების ნაწილია, სიყვარულისა და გმირობის განცდაში რუსთველის ადამიანი — სამყაროს ეს ნაწილი — თავს გრძნობს სამყაროსთან გაერთიანებულად, თითქო ნაწილი უბრუნდება იმ მთლიანობას, რომლიდანაც გამოვიდა, გამოითიშა არსებობის აუცილებლობით.

ადამიანისა და სამყაროს გაბაასების მშვენიერ ესთეტიურ გამოსახულებას იძლევა რუსთველი ავთანდილის სიმღერაში მოლაზანზარის ველზე: სულიერი დრამა შეყვარებული ავთანდილისა, რომელიც საღამო ჟამს თავისი ტაიჭით მიჰქრის, ერთვის სივრცეში ლამაზად განლაგებულს მნათობებსა და პლანეტებს, რუსთველი გამოსახავს რა თავისი დროის კაცობრიობის მოწინავე ნაწილის წარმოდგენას, აღწევს მხატვრული მეტყველებისა და აზროვნების შერწყმის სილამაზის უმაღლეს ფორმას.

განყენებული კოსმოგრაფიული იდეები რუსთველს გამთბარი აქვს ესთეტიური გრძნობის უნაზესი ნაკადებით, ავთანდილისადმი თანაგრძნობით აღელვებული ბუნება ცრემლებს ღვრის: „ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან, იმღერის ლექსთა საბრალოთა ღვარისაებრ ცრემლნი სდიან". ამ სიტყვებით ახასიათებს რუსთველი ბუნების არსთა რიტმიულ - მუსიკალურ რხევას, გამოწვეულს ავთანდილის ღრმა სიყვარულით, რუსთველის მხატვრული განსახეობა აქ ინდივიდუალურისა და უნივერსალურის უმშვენიერეს, უძლიერეს ესთეტიურ გაერთიანებას აღწევს.

რუსთველის პოემამდე, ელინური კულტურის ზოგიერთი ეპიზოდის გამოკლებით, კაცობრიობის კოსმოგრაფიული წარმოდგენა დოგმატურ-კულტობრივ თვისებებს ატარებდა: სამყაროს წინაშე დგას შეშინებული ადამიანი და ადიდებს ბუნებას, მის სტიქიებს, მნათობებს, ცხოველებს, მცენარეებს. უძველეს ეპოსიდან (გარდა ელინური პერიოდისა), ყველგან ისტორიაში, ადამიანთა ყოფაცხოვრებაში დოგმატებისა და კულტების ბატონობა მოსჩანს. ქრისტიანობამ შესცვალა წარმართული კულტები და დოგმატები, მაგრამ პრინციპი დოგმატური შეხედულებისა, ბატონობა - მორჩილების ფსიქოლოგია დარჩა ისტორიაში მთელს საშუალო საუკუნეებისა და კაპიტალისტურ ეპოქების მანძილზე.

მხოლოდ რუსთველი დგას განზე ამ კულტებისა და დოგმატებისაგან: რუსთველის პოემაში მზე, მთვარე, ვეფხი, ლომი, ქალი, გველი სათაყვანებელი, საკულტო მოვლენები არ არიან, ისინი ადამიანური ცხოვრების, მისი ფიზიკურ - სულიერი და გონებრივი შესაძლებლობის მეტაფორული, მხატვრული გამოსახულებანი არიან: „თინათინ, მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა", — ამბობს რუსთველი.

ძველს აღმოსავლურს კულტურაში ბრძოლა ადამიანთა და ბუნების სტიქიათა შორის გვევლინება, როგორც შიშისა და მრისხანების პროცესი, როგორც კოსმიური წყრომა და ადამიანების გათელვა შეუბრალებლად. უძველეს მითებსა და თქმულებებში, კარნაკისა და პერსეპოლისის ნანგრევებში გამოსახულია მცენარეთა, ცხოველთა და სტიქიათა წინაშე ათრთოლებული, აცახცახებული ადამიანი: ფრთოსანი ხარები, კენტავრები, გველეშაპები, ალქაჯები, სფინქსები, ცეცხლის ალით გამანადგურებელი სუნთქვით, მხურვალე ჭაობებით და მხუთავი ქარებით ჩაგრავენ ადამიანს. ადამიანი კი ცრემლსა ღვრის, ლოცულობს, ცახცახებს ფეხქვეშ ეგება, ემორჩილება სტიქიებს, მცენარეებს, ცხოველებს. ბატონობა - მორჩილებისა და მონობის განცდა დოგმატებად, რელიგიურ ჩვეულებებად იქცევა თანდათან საუკუნეების მანძილზე. შეშინებული, აცახცახებული ადამიანი იხლართება დოგმატების ქსელში, ძრწის ყალბად წარმოსახული კოშმარების წინაშე: აშენებს ტაძრებს, სწირავს მსხვერპლს და ამეტყველებს თქმულებებსა, ლეგენდებსა და ლოცვებში თავის მძიმე სულიერ დრამას, თავისი არსებობის ტრაგედიას.

ასეთი სოფშეგრძნობა ისტორიაში პირველად უარჰყო ანტიკურმა საბერძნეთმა. თავიანთ მითებში ბერძნებმა სამყაროს წინაშე ამართეს თვალწარმტაცი ძლიერება და სილამაზე ადამიანებისა, მათი ბრძოლებისა, მათი მოხერხებისა, მათი ვაჟკაცობისა და სილამაზისა.

მიუხედავად საშუალო საუკუნეების დოგმატურ - ეკლესიური განწყობილებისა საერთოდ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, მისი მისწრაფებისა სქოლასტურ-ბიზანტიური განხრით, რუსთველი საქართველოს სოციალურ - ისტორიული სინამდვილის შინაგანი ვითარების საფუძველზე ანვითარებს ელინურ - კლასიკურ შეხედულებას ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ: რუსთველი გმირების, განსაკუთრებით ავთანდილის, თინათინის, ნესტანისა და ტარიელის სახით იძლევა ადამიანური მძლეობის, მოხერხების, ვაჟკაცობისა და სილამაზის თვალწარმტაც გამოსახულებას. რუსთველის ტიპები წარმოადგენენ ადამიანობის უმაღლეს შესაძლებლობას ინდივიდუალიზმის ეპოქებში. ამით აიხსნება ხალხის სიყვარული და პატივისცემა რუსთველის პოემისადმი, მისი გმირებისადმი.

იდეალური, შესაძლებელი, ადამიანურად მოსახერხებელი და სასურველი რუსთველს შეტანილი აქვს თავის გმირების დახასიათებაში. რუსთველის გმირები ინდივიდუალურად სხვადასხვაობენ და კონკრეტული თვისებებს იჩენენ პიროვნებისა და მოქმედებების მიხედვით. რუსთველს არ აქვს შტამპი და სქემა ტიპის გათავისებურებისათვის, მაგრამ აქვს ცხოვრების კანონზომიერების გაგება: რუსთველი იღებს სინამდვილეს არა კორნელის ან რასინის მსგავსად, არა კასტურ-სქემატიურ ჩარჩოებში, არამედ ყოველთვის ვითარების, მიმდინარეობის თავისებურებაში, გამოავლენს რა სტადიალურ თავისებურებაში ადამიანის ქცევას, ხასიათს, ტემპერამენტს, გულისთქმას, სურვილს. რუსთველი კონკრეტულ ტიპიურ თვისებურებას აძლევს მაქსიმალური შესაძლებლობის სახეს. სწორედ აქ მოსჩანს განსაცვიფრებელი სიცხადით განსხვავება ტიპსა და სახეს შორის: რუსთველი კონკრეტულ, ყოველდღიურ სინამდვილიდან ადის შესაძლებელ, მოსახერხებელ და ადამიანურად სასურველ სინამდვილემდე.

გრძნობს რა არსებობის მთელს სირთულესა და სიმძიმეს რუსთველის ადამიანი არ იბნევა, არ იკარგება, სულით არ ეცემა. პირიქით, გონებისა და ნებისყოფის მაქსიმალური გამოყენების მეოხებით იმარჯვებს და მიუხედავად სიძნელეებისა, მიზანს აღწევს. რუსთველის სოფლგანცდა მებრძოლი ადამიანის სოფლგანცდაა და მის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს აზრისა და გამოთქმის, როგორც მოქმედების მაშველი იარაღის კონკრეტობა. რუსთველის გმირების აზრი და სიტყვები მათი მოქმედების, მათი საქმიანობის საწარმოო იარაღია. აქედან — რუსთველის სიტყვა ყოველთვის გააზრებულია, ხოლო აზრი — გამოყენებული, ამოქმედებული. „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონება გონიერისა". რუსთველის მთელ პოემიდან გამოიყურება ადამიანი, მაღალ მწვერვალამდე ასული, დროისა და სივრცის გარკვეულ გარემოცვაში და შეიარაღებული გონების, მოქმედების, სიტყვის ყველა ადამიანურად მისაღები ხერხით.

პუშკინის სახელობის თეატრალური მუზეუმი

საქართველოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან არსებული პუშკინის სახელობის თეატრალური მუზეუმი გაიხსნება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავისათვის.

მუზეუმში ექსპონატები წარმოდგენილი იქნება ორ განყოფილებად: 1. საქართველოს თეატრები გასაბჭოებამდე და 2. საქართველოს თეატრები გასაბჭოების შემდეგ. მეორე განყოფილებაში მოთავსებული იქნება მარჯანიშვილის სახელობის, რუსთაველის ლენინის ორდენოსანი, ოპერისა და ბალეტის ზაქარია ფალიაშვილის ლენინის ორდენოსანი თეატრის, რუსული, სომხური, თურქული და სხვა თეატრების ექსპონატები.

პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება: საქართველოში თეატრის ჩასახვისა და განვითარების ისტორია ხალხური შემოქმედების ხაზით: ყეენობა, ბერიკაობა, ლაზარობა, ყაბახობა, სხვადასხვა წარმოსახვითი დღესასწაული და სხვა—ნახატების, გეგმების ნახაზების და დამუშავებული მასალის სახით. კერძოდ, გამოფენილი იქნება:

დავით აღმაშენებლის დროინდელი თეატრი ერთად-ერთი ცნობილი წერილობითი დოკუმენტის მიხედვით, რომლითაც დავით აღმაშენებელი ჯარში კრძალავს სათეატრო წარმოდგენებს;

ერეკლე მეფის დროინდელი თეატრი ცნობილი თეატრალური მოღვაწის და დრამატურგის ნიკო ავალიშვილის მიერ შედგენილი დაწვრილებითი ქრონოლოგიური გეგმით და მოხაზულობით;

1850-55 წლების პერიოდის გიორგი ერისთავის თეატრი სურათების, აფიშების, მაშინდელი თეატრის გეგმის, იმ დროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებული, თეატრისათვის დამახასიათებელი ყველა დარგის დაწვრილებითი აღწერით და სხვა.

1867 წელს დაარსებული ნიკო ავალიშვილის თეატრი, პირველი მსახიობი ქალების — ბაბო ხერხეულიძის და დიმიტრი ყიფიანის დების მონაწილეობით—მსახიობთა და დადგმების ფოტოსურათებით, მაშინდელი პიესებით, ხელთნაწერებით, პროგრამებით, აფიშებით და სხვა ექსპონატებით. მუზეუმში ცალკე იქნება წარმოდგენილი საქართველოს ცნობილი მსახიობების ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის, კოტე მესხის, კოტე ყიფიანის, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას, ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვა-აბაშიძის, კოტე მარჯანიშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ძმების ფალიაშვილების და სხვათა თეატრალურ მოღვაწეების ყველა დამახასიათებელი ექსპონატი, როგორიცაა: კერძო ცხოვრებისა და შესრულებული როლების სურათების მდიდარი კოლექცია, წერილები, პიესები, საოჯახო ნივთები, სხვადასხვა ტანსაცმელი, ბიოგრაფიები, დაგროვილი მასალა მონოგრაფიისათვის და სხვა.

მუზეუმის განკარგულებაშია ძვირფასი და განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი ისტორიული ექსპონატები: ტფილისის პირველი თეატრის გეგმა, ცნობილი დრამატურგების და მსახიობების ხელთნაწერები, ცნობილი კომპოზიტორის რაზმაძის „მუსიკის ისტორია", 1888 წელს გამოცემული რუსულ ენაზე, უძველესი ჟურნალები, პიესები, აფიშები და პროგრამები, მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი მოსკოვის ქართველ სტუდენტებისაგან მოძღვნილი თეთრი დროშა, მისი იუბილეის გამო, ტფილისის ოპერის ჩასახვის ისტორია—ოპერის დირექტორის ერნსტის ხელთნაწერების სახით, მსოფლიოს უდიდესი კომპოზიტორების ავტოგრაფები, ნიკო ავალიშვილის მიერ პორტ-არტურიდან (მანჯურია) ჩამოტანილი ჩინური აფიშები, ხალხური გასართობების სურათები და ჩინური თეატრის მაკეტი, ცნობილი მსახიობის, რეჟისორის და დრამატურგის სუმბათაშვილი-იუჟინის ხმალი, ჩაჩქანი და სხვა.

მეორე განყოფილება საქართველოს თეატრები გასაბჭოების შემდეგ — ბევრად უფრო საინტერესოა როგორც შინაარსით, ისე წარმოდგენილი ექსპონატების მრავალფეროვნებით. ამ განყოფილებაში წარმოდგენილია ის უდიდესი ზრდა და განვითარება, რომელიც გაიარა საქართველოში საბჭოთა თეატრმა მოკლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერ პერიოდში.

წარმოდგენილი იქნება: საქართველოს თეატრების მსახიობათა და ხელმძღვანელთა სურათების მდიდარი კოლექცია, თეატრების განვითარების პერიოდი განვლილი წლების მიხედვით — მაკეტების, ნახატების და ფოტოსურათების სახით. თეატრების ქსელის ზრდა საქართველოში — დადგმების პროგრამები, აფიშები, კრიტიკული წერილები დადგმებზე, გამოცემები თეატრის გარშემო და სხვა.

მუზეუმის მეორე განყოფილება მოგვცემს იმ უდიდესი წარმატების იმ ნათელ სურათს, რომელსაც საქართველოს თეატრმა გასაბჭოების შემდეგ მიაღწია.

მ. ლორთქიფანიძე.

◆

გეორგ ასატური

სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა რიგებს გამოაკლდა გეორგ კონსტანტინეს ძე ასატური (ასტვაწატრიანი), რომელიც ცნობილი იყო სომხურ ლიტერატურაში როგორც პოეტი-ფილოლოგი, მკვლევარი საიათნოვას საკითხისა, მთარგმნელი ირანულიდან ფირდოუსის „შაჰნამე"-სი და ქართულიდან შ. რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნისა".

გ. ასატური მკვიდრი ტფილისელი იყო (დაიბადა 1863 წ.) საშუალო განათლება ტფილისშივე მიიღო, ხოლო უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ირანულ-სომხურ დარგზე და არქეოლოგიურ ინსტიტუტში. 1925 — 1930 წლებში იგი ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორად იყო სომხეთის უნივერსიტეტში, მუშაობდა აგრეთვე სიძველეთა დაცვის კომიტეტის ხაზით.

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (1890 წლიდან მოყოლებული) გ. ასატური სომხურ ჟურნალ-გაზეთებში (რომლებიც ტფილისში გამოდიოდა) დროგამოშვებით ათავსებდა თავის ლექსებს—ორიგინალურსა და თარგმნითს, რომლებსაც მან თავი მოუყარა და ცალკე წიგნად გამოსცა ერევანში 1927 წელს სათაურით „ჰაიავანდ".

საიათნოვას პრობლემის მიმართ განსვენებულის დამსახურება აღინიშნება იმით, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება პეტერბურგის სააზიო მუზეუმში დაცულ იმ ხელნაწერს, სადაც საიათნოვას ქართული ლექსებია თავმოყრილი (რომლებიც თავის დროზე საფუძვლად დაედო ი. გრიშაშვილის გამოცემას) და საიდანაც მან, სხვათა შორის, ამოკრიფა 8 სრულიად უცნობი სომხური ლექსი, აგრეთვე 3 ვარიანტი, რომლებიც გ. ასატურმა გამოაქვეყნა 1903 წელს, როგორც დამატება გ. ახვერდიანცის გამოცემისა (1852 წ.). მანვე გამოაქვეყნა 1922 წელს ერევნის სახელმწიფო მუზეუმში დაცული საიათნოვას ძირითადი ხელნაწერის აღწერა, აგრეთვე მთელი რიგი გამოსვლებით ჟურნალ-გაზეთებში ხელი შეუწყო საიათნოვას პრობლემის ზოგიერთი სადავო საკითხის გაშუქებას ჯერ ლეოსთან (ა. ბაბახანიანთან) შეჯახებისას 1926 წელს, ხოლო შემდეგ ამ სტრიქონების დამწერთან წარმოებულ პოლემიკაში 1936 წელს.

ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებით გ. ასატურმა სთარგმნა ირანულიდან და ცალკე წიგნად გამოსცა ნაკვეთი „შაჰნამე"-დან, სახელდობრ „როსტემ და ზოჰრაბი", რომელიც 25 თავს შეიცავს (ერევანი, 1935).

შედარებით დიდია განსვენებულის დამსახურება ქართველი კლასიკოსების პოპულარიზაციისთვის სომხურ ლიტერატურაში. ასე, 1931 წელს გამოცემულს ქართული პოეზიის ანთოლოგიაში მან წარმოადგინა სომხურ თარგმანში ნიმუშები შემდეგი ქართველი მწერლების ნაწარმოებთაგან: შ. რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, მ. თუმანიშვილი, რ. ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ირ. ევდოშვილი; თანამედროვე ლიტერატურიდან: გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი და ს. ეული, აგრეთვე — ხალხური პოეზია.

მიმდინარე წელს გამოიცა მისივე თარგმანი ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბისა" (ჟურნ. „ხორურდ. გრაკანუთიუნ" 1937 წ., № 3). მან მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ილია ჭავჭავაძის რჩეულ ნაწერთა კრებულში, რომელიც ჩვენი რედაქციით დაიბეჭდა და ამ დღეებში უნდა გამოვიდეს (წ. I პოეზია).

მაგრამ მთავარი დამსახურება გ. ასატურისა სომხური და ქართული ლიტერატურის წინაშე ისაა, რომ მან ლექსად სთარგმნა მთლად „ვეფხის-ტყაოსანი", რომელიც ახლახან იქნა გადაცემული დასაბეჭდად. ხოლო დღემდე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა ამ თარგმანის ზოგიერთი ნაწილი, მაგალითად, „წასვლა ავთანდილისა ძებნად უცხო ყმისა".

მანვე ლექსად სთარგმნა „რუსთველის სიყვარული", ე. ი. ხალხური „ვეფხის-ტყაოსნის" ერთ-ერთი ვერსიათაგანი, ქართველი მწყემსისაგან მოსმენილი წარსული საუკუნის 80-იან წლებში; ეს ვერსია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „აღბიურ"-ში 1890 წელს, ხოლო 1927 წელს გადაიბეჭდა გ. ასატურის ლექსთა კრებულში ბოლოს, 1936 წელს რუსულადაც ითარგმნა (პროზად) და დაიბეჭდა ერევნის რუსულ გაზეთ „კომუნისტ"-ში.

დასასრულ, გ. ასატურს, როგორც ფილოლოგს, ორი დამსახურება მიუძღვის: 1) მის მიერ მიწოდებული მასალის მიხედვით 1890 წ. პეტერბურგში პროფ. ალ. ტომსონმა გამოაქვეყნა სადოქტორო დისერტაცია (რუსულად) თემაზე „ისტორიული გრამატიკა ტფილისის თანამედროვე სომხური ენისა" და 2) მან შეადგინა ტფილისის სომხური კილოს ლექსიკონი, რომელიც გ. სუნდუკიანცის თხზულებათა სრულ კრებულს დაერთო (ერევანი, 1934 წ.).

სიკვდილმა არ დააცალა, რომ გ. ასატურს უშუალო მონაწილეობა მიეღო დიდი შოთას იუბილეს სადღესასწაულო ზეიმში, როდესაც უნდა გამოვიდეს, მხატვრული გაფორმებით, მისი თარგმანი „ვეფხის-ტყაოსნისა". მაგრამ, სამაგიეროდ, სომეხი მკითხველი და შოთას მოტრფიალენი დიდის მოწიწებით მოიხსენიებენ და მოიგონებენ ნიჭიერი პოეტ-მთარგმნელის, სპეტაკი ადამიანის გეორგ ასატურის სახელს, რომლის საუკეთესო ძეგლად სწორედ ეს თარგმანი გადაიქცევა.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი

ბიბლიოგრაფია

გ. კაჭახიძე—„ლექსები" 1937 წ.

გ. კაჭახიძემ პირველი ლექსებითვე გამოამჟღავნა პოეტური ნიჭი და ძალა. პოეტური შემოქმედების ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან გვიჩვენა თემის უშუალო განცდის დიდი შესაძლებლობა, პოეტური წვა და ლირიზმი.

გ. კაჭახიძის პოეტური მეტყველების სტილი გასაგები და საკმაოდ დახვეწილია. გ. კაჭახიძისათვის უცხოა ფორმალისტური ძიება, „კრუნჩხვა". იგი არ გვაკვირვებს აგრეთვე სიტყვის ისეთი მოხდენილი მოქნევით, რომელიც მთელი სიმძიმით ასწევს ლექსის „სუჟეტურ" აზრს. ეს მიგვაჩნია ისეთ თვისებად, რომელსაც შეუძლია პოეტის სტილი სისადავიდან უბრალოებამდე დაიყვანოს.

გ. კაჭახიძის პირველი პერიოდის პოეტური შემოქმედების ერთი ძირითადი ნაკლი იყო ვიწრო თემატიური შეზღუდულობა. ეს ნაკლი საფრთხეს უქმნიდა პოეტის შემოქმედების იდეურ სიმაღლესაც. მაგრამ უკანასკნელ წლებში პოეტმა საკმაოდ დააღწია თავი ამ ნაკლს, გაარღვია ჯიხაიშის თემატიური „რკალი" და გააფართოვა თავისი შემოქმედებითი სფერო სოციალისტური მშენებლობისა და ყოფის მრავალფეროვანი თემებით.

განსაკუთრებული ლირიკული განცდით აქვს დაწერილი გ. კაჭახიძეს ლექსი „ლენინის ნახვა და გაზაფხული". აქ პოეტს გადმოცემული აქვს ბავშვის განწყობილება და აღფრთოვანება ლენინის სურათის პირველად ნახვის დროს.

კრებულში მოთავსებულ ყველა ლექსიდან, თავისი მებრძოლი სულით და სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის მაღალი შეგნებით, გამოირჩევა პატარა ლექსი: „ნუ შეშფოთდებით"! ამ ლექსში პოეტი მოუწოდებს ჯარისკაცს სიმტკიცესა და გაბედულობისაკენ, გამარჯვების რწმენისა და სამშობლოსადმი უზომო სიყვარულისაკენ.

დანარჩენ ლექსებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან „ლურჯას სიკვდილი", „დილა დნეპრზე", „პუშკინი ოდესაში", „ელალა", „ზღვაზე", კოლხიდის ბინადარი", „ვაჟა", „სანაპირო ქუჩა" და სხვ. ეს ლექსები განირჩევიან თემის რელიეფური გააზრებით და მხატვრული სიმღერით.

დასასრულს, ჩვენ გვინდა ვუთხრათ პოეტს, რომ მან უფრო მეტად გააფართოვოს თავისი პოეტური შემოქმედების თემატური არე და ინტიმური ყოფის იდილიიდან სიმძიმის ცენტრი სოციალისტური მშენებლობისა და ჩვენი ცხოვრების უფრო მეტად აქტუალურ პრობლემებზე გადაიტანოს.

ე. ასტვაცატუროვი

ლიტერატურული კალენდარი

გრიგოლ რჩეულიშვილი

გარდაცვალებიდან 60 წლის შესრულების გამო.

მიმდინარე წლის სექტემბერს შესრულდა სამოცი წელიწადი გრიგოლ რჩეულიშვილის გარდაცვალებიდან. რჩეულიშვილს თავისი დროის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ეს განსაკუთრებულება ოსტატობის განსხვავებულ ფორმასა და სიუჟეტის საინტერესოდ განვითარებაში გამოიხატება. ამ მხრივ 50-60-იან წლებში რჩეულიშვილი ორიგინალური მწერალი იყო და მისი მოთხრობა — ლექსები ახალ სიტყვას წარმოადგენდენ ქართულ ლიტერატურაში. რჩეულიშვილის ნაწერების ეს ღირსება მოდის იქიდან, რომ მწერალი კარგად იცნობდა თავის თანამედროვე უცხოეთის მწერლობას და სიუჟეტის განვითარებასა და მხატვრული ოსტატობის აღნაგობაში მას ბაძავდა. ჩვენი ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის ალ. ხახანაშვილის აზრით, გრ. რჩეულიშვილის „ანუკა ბატონიშვილი" დაწერილია იტალიელი ორსინის „იზაბელა მედიჩის" წაბაძვით, ხოლო ი. გრიშაშვილი გადმოგვცემს ვერსიას იმის შესახებ, რომ რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი" გადმოქართულებულია ალექსანდრე დიუმას (მამა) რომანიდან „ორი დიანადან", რასაც მკვლევარნი ნაკლად არ უთვლიან მწერალს და არც შეიძლება ჩაუთვალონ.

გრიგოლ რჩეულიშვილი დაიბადა ტფილისში 1819 წელს (გრიშაშვილის მტკიცებით 1820 წ.) მან საშუალო განათლება მიიღო ტფილისისავე გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მსახურებდა სახაზინო პალატაში ლავრენტი არდაზიანთან ერთად.

მწერლობა დაიწყო 50-იან წლებში. მისი პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა გიორგი ერისთავის „ცისკარში" 1853 წელს. ეს იყო ნათარგმნი ნაწარმოები „მასკარადის შეცდომილების" სახელწოდებით. შემდეგ იმავე კერესელიძისა „ცისკარში" დაიბეჭდა მისი ნათარგმნი ნაწარმოებნი: „ცოლის სიყვარული", „მოტყუებული ბრილიანტიკი", „ავრორა", ტრაგედია „ნორმა", ორმოქმედებიანი „ხუმრობა — ვოდევილი" და სხ.

(ი. გრიშაშვილის კოლექციიდან)

გრიგოლ რჩეულიშვილს მწერლის სახელი მოუპოვეს შემდეგმა ნაწარმოებებმა „ქვრივის ლიმონები", „თამარ ბატონიშვილი" და „ანუკა ბატონიშვილი". სამივე მოთხრობა, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი ქართველ საზოგადოებას ძალიან მოეწონა. „თამარ ბატონიშვილი" შემდეგში რაფიელ ერისთავმა და ს. გუგუნავამ გალექსეს, ხოლო კოტე მესხმა დრამად გადააკეთა. ეს ნაწარმოები პირველად „ცისკარში" დაიბეჭდა (1869 წ.), შემდეგ სამჯერ ცალკე წიგნადაც გამოიცა (1878 1881 და 1892 წ. წ.).

გრიგოლ რჩეულიშვილი წერდა აგრეთვე ლექსებს და სხვადასხვა წერილებს. მისი ერთი ლექსი „ახ მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო" თავის დროს დიდად გავრცელდა, მას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მღეროდნენ. კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა თავის მუსიკალურ ნაწარმოებშიც კი შეიტანა, როგორც უავტორო ხალხური სასიმღერო ლექსი. თავის დროზე მის სხვა ლექსებსაც მღეროდნენ. ეს ლექსებიც ახალი ხილი და ახალი მოვლენა იყო მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში და, როგორც ხახანაშვილი შენიშნავს, „ახასიათებენ მის სანტიმენტალურ მიმართულებას და უკავშირებენ მას დასავლეთ ევროპელთა მწერლებს".

გრ. რჩეულიშვილი სამწერლო მუშაობას სულ ათიოდე წელიწადს ეწეოდა. 1867 წლიდან ის მწერლობას თავს ანებებს. 1877 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულ იქნა ვერის სასაფლაოზე. დანიელ ჭონქაძის საფლავის მახლობლად.

პეტრე ლარაძე

გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო.

პეტრე ლარაძე, რომლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს ჩვენ ამჟამად აღვნიშნავთ, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი იყო, ლარაძე მწერლობაში ცნობილია ყარიბის ფსევდონიმით. მის კალამს, „დილარიანის" გარდა, ეკუთვნის „ანბანთ ქებანი, შაირები, ეპიტაფიები, იამბიკოსნი ბატონიშვილებისა და დღესასწაულების სადიდებლად, საისტორიო და სადევგმირო მოთხრობები".

მთელი თავისი ნაწერები პოეტს შეუკრებია სამ წიგნად, რომელთა სახელწოდებები ყოფილა: „დილარიანი", „სახემგოსანი" და „მრავალფერ ყვავილოვანი".

აი ზოგიერთი ცნობა ლარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ლარაძეები მეგრელები ყოფილან, სამეგრელოდან ქართლში გადმოსულან და საზარათიანოში დასახლებულან. პეტრეს მამას, გიორგის, ქაიხოსრო ორბელიანის სარდალს, თავი უსახელებია აბდულბეგთან ომში. თეიმურაზ მეფეს ის ტფილისში გადმოუყვანია და თავის სასახლეში დაუნიშნავს. პეტრე გიორგის ოთხი შვილიდან ყველაზე უმცროსი ყოფილა.

პეტრე საქართველოს მეფეთა კარზე დიდად დაწინაურებულა და ყველას ყურადღება მიუქცევია. ბიოგრაფების ცნობით, პეტრე ყოფილა „ზედმიწევნით მცოდნე ჩვენი ძველი სასულიერო და საერო ლიტერატურისა". ერეკლე მეფეს ლარაძე დაუნიშნავს თავის მწიგნობრად და დავთარხანის გამგედ. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ლარაძე გიორგი მეთორმეტის კარზედაც ამავე თანამდებობას ასრულებდა.

პეტრე ლარაძე დიდი მეგობარი ყოფილა ბატონიშვილ თეიმურაზისა, რომელიც საქართველოში მეფობის მოსპობის შემდეგ ირანს გარდაიხვეწა და იქ ცხოვრობდა. თეიმურაზი ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან შეერთებას, ამის გამო 1800 წლის შემდეგ მას საქართველოში აღარ დაედგომებოდა. პეტრე კისრულობს მის შერიგებას რუსეთის მთავრობასთან. ამ მიზნით მიემგზავრება იგი ირანს, არწმუნებს თეიმურაზს დაბრუნდეს უკან და მოჰყავს კიდეც ტფილისში. გზაში მათ მრავალი თავდასხმა მოიგერიეს და დიდი გაჭირვება გამოიარეს. თეიმურაზს არ მოსწონებია რუსეთთან შერიგების პირობები, წაჰკიდებია პეტრეს და მისთვის ღალატი დაუბრალებია.

თეიმურაზს სხვა ბატონიშვილებთან ერთად რუსეთში ასახლებენ. მას თან მიჰყავს პეტრე. პეტრეს არ უნდოდა თურმე რუსეთში წასვლა, მაგრამ თეიმურაზს ძალით წაუყვანია პოეტი. ასე გოდებს იგი ამ უბედურებაზე:

„გზაზედ ვევედრე დათხოვნას,
მივგზავნე მისი ტოლები,
არა ინება, მარბინა
ჩერქეზ-ქირმანის ჩოლები".

რუსეთში ქართველ ემიგრანტთა ჯგუფში, რომელშიც ბატონიშვილები და საქართველოს მეფის კარის მახლობელნი შედიოდნენ, პეტრე საყოველთაო სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს. აქ ლარაძე ეწევა მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ მუშაობას. გარდა „დილარიანისა" და წვრილი ლექსებისა, პეტრე აქ სწერს პოემას ალექსანდრე მაკედონელზე. ეს პოემა თავის დროზე პეტროგრადში დასტამბულა და დიდად გავრცელებული ყოფილა ქართველთა ოჯახებში. ზოგიერთი მისი ლექსი პროფესორ დავით ჩუბინაშვილს შეტანილი აქვს პეტერბურგში გამოცემულ თავის ქრესტომატიაში. 1903 წელს ტფილისში ცალკე წიგნად გამოიცა მისი „დილარიანი" მოსე ჯანაშვილის რედაქციით და ზ. გულისაშვილის წინასიტყვაობით.

როგორც „ვეფხის-ტყაოსნის" მინაწერიდან სჩანს, ამავე სახელწოდების ნაწარმოები დაუწერია ძველად სარგის თმოგველს. შემდგომში იგი დაკარგულა. პროფ. კეკელიძისა და სხვათა გამოკვლევით, პეტრე ლარაძეს არ უნახავს სარგის თმოგველის „დილარიანი", არასოდეს არ წაუკითხავს იგი, და „პეტრეს დილარიანს არაფერი საერთო, გარდა სახელისა, არა აქვს სარგის თმოგველის დაკარგულ შრომასთან".

ლარაძეს „დილარიანი" დაუწერია რუსეთში. მას სწვევია ბატონიშვილი იოანე და უთხოვია ეს თხზულება, მაგრამ უკან აღარ დაუბრუნებია. როგორც სჩანს, იოანეს თავისი სახელი და გვარი მიუწერია და თავის თხზულებად გაუსაღებია. ლარაძეს ამის შემდეგ ხელმეორედ დაუწერია „დილარიანი", იგი უფრო უკეთესი გამოსულა. ტექსტის ზოგიერთი სხვაობა ჩუბინაშვილისა და გულისაშვილის გამოცემებში ამით უნდა აიხსნას.

კრიტიკოსთა სექციაში

თათბირი სექციის უახლოესი მუშაობის შესახებ

19 ოქტომბერს მწერალთა კავშირის სამდივნოსთან ერთად შესდგა თათბირი კრიტიკოსთა სექციის მომავალი მუშაობის შესახებ.

სექციის ახლანდელი საქმიანობის შესახებ მოკლე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. **შ. რადიანი.**

— როგორც იქნა, — ამბობს ამხ. რადიანი ბოლო ეღება იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მთელი რიგი წლების განმავლობაში ბ. ბუაჩიძის საბოტაჟურ-დივერსიულ მუშაობის გამო. ამ მოკლე ხანში მოეწყო რამდენიმე თათბირი კრიტიკოსთა დასარაზმავად მხატვრული კრიტიკის მიმდინარე ამოცანების გარშემო. ამ თათბირების პირველი ნაყოფიერი შედეგი ის არის, რომ უკვე დაიწერა მთელი რიგი წერილები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე ოქტომბრის დღესასწაულებისათვის გამოსაცემ კრებულში მოსათავსებლად.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა სექციის მომავალი მუშაობის შესახებ. ილაპარაკეს **ე. ასტვაცატუროვმა, ლ. ასათიანმა, კ. მელაძემ,** და მწერალთა კავშირის პ/მ. მდივანმა ამხ. **კ. ჩარკვიანმა,** რომელმაც შემდეგი დასკვნა გაუკეთა ზემოხსენებულ ამხანაგების მიერ კრიტიკოსთა სექციის შემდგომი მუშაობის შესახებ შემოტანილ წინადადებებს; პირველ ყოვლისა, სექციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს წარსულში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებას, რაპპული რეციდივების აღმოფხვრას. სექციამ გეგმიანად უნდა აამუშაოს ყველა თავისი წევრი. უნდა შესდგეს სია ახლად გამოცემულ წიგნებისა, რომელთაგან არც ერთი არ უნდა დარჩეს სექციის საჯარო სხდომაზე განუხილავი და შეუფასებელი. სექციამ თავისი წევრები უნდა მიამაგროს ყველა პერიოდულ გამოცემას, რომ ამ ღონისძიებით უზრუნველყოფილი იქნას ჩვენი ჟურნალ-გაზეთების კრიტიკულ ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობის მაღალი ხარისხი. უახლოეს მომავალში სექციამ უნდა მოაგვაროს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის დაწერის საკითხები. არსებული კადრებით სავსებით მოსახერხებელი და განსახორციელებელია ყოველწლიურად 4-6 ალმანახის გამოცემა. სექციამ ამ თავითვე უნდა გადადგას პრაქტიკული ნაბიჯი ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ყველა ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა, რომ მწერალთა კავშირმა იზრუნოს კრიტიკოსთა კადრების შემოქმედებითი მუშაობისათვის ისეთივე პირობების შესაქმნელად, როგორიც აქვთ ლიტერატურის სხვა ჟანრის მწერლებს.

თათბირზე გამოთქმულ წინადადებების მიხედვით, სექციის ხელმძღვანელობას დაევალა გამოიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები სექციის მომავალი მუშაობის პროგრამის დასამუშავებლად და განსახორციელებლად.

ლიტერატურული მაკულატურა

იდეურ-მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოები მასობრივ მკითხველში აღვივებს უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, აღვივებს სოციალისტურ ჰუმანიზმსა და საბჭოთა პატრიოტიზმს, უღრმესს სიძულვილს ხალხის მტრებისადმი, ამაღლებს ადამიანისადმი ადამიანურ დამოკიდებულებასა და სხვ. საბჭოთა მხატვრული მწერლობა მკითხველის შეგნებისა და ნებისყოფის ბოლშევიკური ორგანიზატორია.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხმარებაშია ისეთი წიგნებიც, რომელნიც მკითხველის შეგნებისა და ნებისყოფის დაქსაქსვას ცდილობენ. ჩვენი ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ არიან ლიკვიდირებული, ექსპლოატატორული კლასების ნარჩენი. ეს „ლიტერატურა" ამ ნარჩენების „საქმეს" ემსახურება, ეს წიგნები ხალხის მტრების იარაღად ხდება.

არა ნაკლები ზიანი მოაქვს მუქი აბაჟურებისა და ღამის პერანგების ბულვარულ-პორნოგრაფიულ „ლიტერატურას". ბულვარულ - პორნოგრაფიულ „ლიტერატურას" მკითხველში სქესობრივი გრძნობის ხელოვნური გაღიზიანების გამოწვევა აქვს დასახული, წყვილის ცხოვრებას „შეზღუდვის" ახალ ფორმადა თვლის აქედან კი პირდაპირი გზაა სქესობრივი ანარქიზმისაკენ. ეს ბურჟუაზიული საზოგადოების კუთვნილებაა, მისი ოფიციალური მწერლობის ეთიკური სახე. იგი მკითხველს საზოგადოებრივი ამოცანებისაგან აშორებს.

ამას წინათ ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე აკაკი პაპავას „მოთხრობები", გამოცემული ავტორის მიერ ტფილისში, ამ რამოდენიმე წლის წინად. წიგნს არა აქვს მთავლიტის ვიზა და არც აღნიშვნა სტამბისა, სადაც დაიბეჭდა. მოკლედ შევეხები ამ მავნე, ბულვარულ-პორნოგრაფიულ „ნაწარმოებს".

ამ წიგნში 3 მოთხრობაა წარმოდგენილი: „სოლეილ-დორ", „მკრთალ სხივთა ძნა" და „ქალის ცრემლები" (ჯერ მარტო სათაურები რადა ღირს.). მოყოლილია ერთი ახირებული „სიყვარულის" ისტორია, ერთი ვითომ ბუნებრივი სიყვარულის თავგადასავალი. ეს „სიყვარულობაა" გათამაშებულია იმპერიალისტური ომის წლებში. ავტორი ვითომ კნუტ ჰამსუნს („პან") ბაძავს, მაგრამ..

ქართული ბომონდის ერთ-ერთი დაკნინებული წარმომადგენელი, უსაქმური, ანტისაზოგადოებრივი ელემენტი, მოხეტიალე ბოჰემა, სიყვარულის მაძიებელი, „ძლიერი" შთაბეჭდილებებით დეკადენტურად დაინტერესებული, ავანტიურულ მიდრეკილებათა მატარებელი ობივატელი, — აი, პაპავას „მოთხრობების" მთავარი მომქმედი პირი. დაახლოვებით ასეთებივე არიან თიკო, ქეთო და სხვა „განაზებული" ქალები და ქალბატონები, სიყვარულით გაგიჟებული მეჩხანები.

ვასოს და თიკოს (ქეთოს) „უყვართ" ერთმანეთი, მაგრამ სადაა აქ სიყვარული? სადაა აქ ჯანსაღი, უბრალო და ბუნებრივი სიყვარული? აქაა მხოლოდ ადამიანთა პათოლოგიური მგრძნობიერების ზღვა, ტირილი, ლოცვა, ისტერიული სლოკინი, ტრთოლა. ყველა ეს ავტორს „ლირიკული სითბოთი" და რომანტიკული შარავანდედით აქვს მოცემული. ეს სენტიმენტალური მეტხორცები, სიყვარულის ჯანსაღი და უბრალო, ბუნებრივი გრძნობის დამამცირებელნი მთელ თავიანთ „ცხოვრებას" ფუქსავატურად ატარებენ და ასრულებენ. ამ ალდენილმა ტიპებმა სქესთა უბუნერივესი დამოკიდებულება სულიერ მრუშობამდე დაიყვანეს. ავტორის სიმპატიები მათკენაა.

მარქსი და ენგელსი გვითითებდნენ, რომ ქალის მიმართ ისეთ დამოკიდებულებაში, როდესაც ის სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილების ობიექტს წარმოადგენს ადამიანის დაუსრულებელი დეგრადაცია გამოიხატება. ვასოს, თიკოს (ქეთოს) და სხვებს ჩამოაცალეთ რომანტიკული ბურუსი, ბანალურ-სენტიმენტალური ლექსიკონი და ზემოთ აღნიშნული „დამოკიდებულება" შეგ რჩებათ ხელში.

ავტორმა ამ უარყოფითი, ავადმყოფური ექზალტაციის მატარებელი გვამების რომანტიზაცია მოახდინა, დადებით ადამიანებად შემოიყვანა ქართულ ლიტერატურაში, საიდანაც ისინი განდევნილ უნდა იქნან, რადგან ატმოსფეროს სწამლავენ.

ახლა არ ვკითხავთ, როგორი ბანალური ლექსიკონით, სტილით, ხერხებითაა შესრულებული ეს ბულვარული „მოთხრობები", ეს წვრილ-ბურჟუაზიული სულიერი ქექვის მაკულატურა? თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე ამონაწერს მოვიყვანთ:

„თვალებს მალმალ ხუჭავდი და გრძელი წამწამები ჩემს ლოყასთან სიოს არხევდა" (ხედავთ, რა ძალა ჰქონია ამ წამწამებს?

„ცრემლთა ნაკადული გულში იბადებოდა, შიგვე შრებოდა ცხოველი სიყვარულის ვარვარებით და მისი ორთქლი მარგალიტის მძივებად ამოდიოდა ჩემთა ბაგეთაგან და ნაზი ამბორი შენის თეთრის აჩრდილისა ღილებად გაბნევდა მარმარილოს მკერდზე იმ მარგალიტებს"

„იმ კუთხეში, სადაც შენ იჯექ, პაწია ხატი ეკიდა ღვთის მშობლისა.ო, რა რიგად მინდოდა, მის წინაშე მუხლი მომედრიკა, ლოცვანი აღმევლინა და ყოველი ახალი ლოცვა „ამინის" ნაცვლად შენის სახელით დამეთავებინა.. წმინდა იყავ, ვით ლოცვა, და ლოცვა იგი იყავ შენ... მომიახლოვდი და ვით მღვდელმთავარი, ავიმართე შენს უკან და თვალები ზეცად ავაპყარ... ანგელოსთა დაუსრულებელი გუნდი ნელა დაფრენდა შენს თავს და ცოცხალ ყვავილებს გაყრიდა.. მაშინ შევამჩნიე შენს გრძელ წამწამებში ერთი თეთრი ღერი, რა რიგად გიხდებოდა იგი!... ყვავილებს მოვიტან, ჩემი გულის საფლავზე ხარობენ"!

გარდა ამისა, „მოთხრობებში" ხშირია ასეთი ადგილები: „სახლების სახურავები დაფენილია მთვარით, ავტომობილები დაჰქრიან". სად დაჰქრიან? სახურავის მთვარის შუქით დაფერვა წარმოგვიდგენია, ხოლო ვერ წარმოგვიდგენია სახურავებზე ავტომობილების ქროლა. აქ, რაღაც ატრაქციონს უნდა ჰქონდეს, ალბათ, ადგილი.

დასასრულ, „მოთხრობებში" იმპერიალისტური ომი დადებითადაა შეფასებული, როგორც გმირობა.

აკ. პაპავას „მოთხრობები", როგორც ბულვარულ - პორნოგრაფიული მაკულატურა აღკვეთილ უნდა იქნას.

ვ. ლუარსამიძე.

◆

თვალთმაქცების გარიცხვა მწერალთა კავშირიდან

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა, მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხა დ. დემეტრაძე და ა. დუდუჩავა, როგორც თვალთმაქცნი, რომელნიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხალხის მოსისხლე მტრების დავალებით საბჭოთა მწერლებს შორის ეწეოდნენ მავნებლურ, გამხრწნელ მუშაობას.

ქართული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა

მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში უკვე გამოფენილია მდიდარი ფერადებით მოელვარე ძველი ქართული ფრესკები და ჩვენი მატერიალური კულტურის სხვადასხვა საგნები. ცალკე კაბინეტებში უკვე მუშაობენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის მეცნიერი მუშაკები.

მეტეხის მუზეუმის აქტივობა თანდათან იზრდება. ამჟამად მეტეხის ერთ-ერთ კორპუსში გამართულია ქართული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა. მაგრამ გამოფენილია მხოლოდ ერთი ნაწილი იმ მდიდარი კოლექციისა, რომელიც მეტეხის მუზეუმს მოეპოვება,, მხოლოდ მე-18 და მე-19 საუკუნეების ხელსაქმის ნიმუშები. ამ ნიმუშების ოსტატობის დონე საკმაოდ მაღალია, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ, ქართულ ხელსაქმეს ხანგრძლივი კულტურული და ტექნიკური ტრადიცია აქვს.



დორი (დიდი ბალიშის გადასაფარებელი)

ხელსაქმე და ქსოვილების მოქარგვა საქართველოში შემოტანილია, ალბათ, ძველი ირანიდან, რომელიც ამ ხელობის სამშობლოდ ითვლება. ცნობილია, მაგალითად, რომ საბერძნეთში ქსოვილების მოქარგვის ჩვეულება შეტანილ იქნა ირანიდან ალექსანდრე მაკედონელის გალაშქრების დროს და შემდეგში იგი რომსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში გავრცელდა.



ყაჯარი (ასალი)

ევროპის მოწინავე ქვეყნებში დიდი ხანია შეუდგნენ ხელსაქმის ნიმუშების შესწავლას და დაგროვებას. ამ ნიმუშების კოლექციებს მუზეუმში ცალკე განყოფილებები აქვთ დათმობილი. კერძოდ, განთქმულია ხელსაქმის მდიდარი კოლექციები: საფრანგეთში — კლიუნისა და გიმეს (აღმოსავლეთის ქვეყნების) მუზეუმებისა, ინგლისში — კენსინგტონის მუზეუმისა, გერმანიაში — ბერლინის მუზეუმისა და რუსეთში—ერმიტაჟისა.

საქართველოში ხელსაქმის სისტემატურ შესწავლას საფუძველი დაედო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ოთხ მოზრდილ ოთახში გამოფენილია მრავალი ნიმუში სამკაულისა (ქალის თავსაკრავები, ლეჩაქები, მანდილები), მამაკაცისა და დედაკაცის ტანისამოსის ნაწილებისა (პერანგები, გულისპირები, სარტყლები, წინდები), ოჯახში სახმარი ნივთებისა (ბოხჩები, ქისები, აბგები, სუზანები, საბანო ზეწრები), ცხენის მოკაზმულობისა (ყანჯრები) და სხვ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ავღნიშნოთ გამოფენილი ნიმუშების მოქარგული მოტივების [illegible] ორიგინალობა და მიმზიდველობა. ქართული ხელსაქმის სახეების კრებული, ერთნაირი „ალბომი", მოწმობს, რომ ხელსაქმის მოტივებს ჩვენში საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის დამახასიათებელი მცენარეების, პირუტყვებისა და ფრინველების ფორმები (ვარდები, ბროწეულის ყვავილები, ყურძნის მტევნები და ფოთლები, ირმები, ჩიტები და სხვ.), რომელნიც ხშირად ოსტატის ინდივიდუალური ნიჭისა და უნარის მიხედვით წარმოადგენენ ამათუიმ მცენარის, პირუტყვის თუ ფრინველის გართულებულ ვარიაციას. მართალია, ზოგიერთი ნიმუშის სურათები გვაგონებენ ირანულ მოტივებს, რაც ცხადჰყოფს იმას, რომ ერთ დროს ირანს გავლენა ჰქონდა ჩვენი ხელსაქმობის ოსტატობაზე, მაგრამ ქართულმა ხელსაქმემ შეიმუშავა თავისი ინდივიდუალური სახე, საკუთარი მოტივები, რომლებსაც ვერსად სხვაგან ვერ ვხვდებით.

მაგრამ ქართული ხელსაქმის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ფერების დიდი გემოვნებით და ჰარმონიით შეხამება. ხშირად ეს ეფექტი მიღწეულია მხოლოდ სამი ან ოთხი ფერის საშუალებით. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ქალის თავსაკრავები, განსაკუთრებით ერთი მათგანი: შავი ხავერდის ფონზე მოცემულია მწვანე ფოთლებით შემოვლებული თეთრი ყვავილები, რომელთა შუაგულს მარგალიტის რამდენიმე თვალი ამკობს. საუცხოოა აგრეთვე ქალის ლურჯი გულისპირი, ოქროს ფოთლებით მოქარგული, და კიდევ შავი აბრეშუმის გულისპირი, რომელიც მოქარგულია ოქროსფერი თავთავით. რა ეკონომიაა საშუალებებისა და რა დიდია შთაბეჭდილება, რომელსაც ამ გზით მიღწეული კოლორიტი სტოვებს!

შესანიშნავია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელსაქმის შესრულების ოსტატობის დონეც. ურთულესი სურათები ისე წმინდად, ზუსტად და თამამად არის შესრულებული, რომ ისინი არ ჩამოუვარდებიან ამ მხრივ ინდოეთისა და ჩინეთის ხელსაქმის საუკეთესო ნიმუშებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ფრანგი მწერალი ა. დიუმა (შვილი), რომელიც მე-19 საუკუნის ნახევარში ა.-კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობდა, აღნიშნავდა ქართულ ხელსაქმის მაღალ ხარისხს და მის რენომეს წინა აზიის ბაზრებზე. ქართული ხელსაქმის პროდუქციის მაღალი ხარისხით აიხსნება ისიც, რომ ეს პროდუქცია ერთ დროს საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ამას ადასტურებს 1812 წელს რუსეთის მეფის ფინანსთა მინისტრის მოწერილობა გუბერნატორ რტიშჩევის სახელზე. მინისტრი ურჩევს გუბერნატორს, დააწესოს საქართველოდან საზღვარგარეთ გატანილ ხელსაქმის ყოველ ნიმუშზე ბაჟი 5 კაპიკის რაოდენობით თითო მანეთზე.

მთელი გამოფენა დიდ და საინტერესო მასალას იძლევა ჩვენი ხალხის წარსული მატერიალური კულტურის შესასწავლად. საჭიროა ამ გამოფენის პოპულარიზაცია ფართო მასებში, თავდაპირველად ხელოვნების ყველა დარგის მუშაკთა წრეებში, რადგან ძველი ქართული ხელსაქმე ჩვენი ხალხური შემოქმედების ერთერთ დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

ქ. თოფურიძე.



გმირები

საქართველოს საბჭოთა მწერლების გამომცემლობა „ფედერაციამ" ცალკე წიგნად გამოსცა არჩილ ჩაჩიბაიას რომანი „გმირები". წიგნი გამოცემულია ლამაზად. შეიცავს 290 გვ. და ღირს 6 მან. 60 კაპ.

„ილია ჭავჭავაძე"

სამეგრელოს მუზეუმმა გამოსცა იონა მეუნარგიას „ილია ჭავჭავაძე" (ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან) სოლ. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით. წიგნი ლამაზად არის გამოცემული და ღირს 2 მან. 50 კაპ.

„კუხლია" ქართულ ენაზე

სახელგამმა ეხლახან გამოსცა რუსი მწერლის ი. ტინიანოვის ცნობილი რომანი „კუხლია" ქეთევან ირემაძის თარგმნით. ეს ნაწარმოები შეეხება დეკაბრისტების აჯანყებას და მასში მოქმედ პირებად გამოყვანილია პუშკინი, კუხელბეკერი, რილეევი და სხვ. რომანის ერთ-ერთ თავში აწერილია მე-19 საუკუნის 20-იანი წლების ტფილისის ცხოვრება. წიგნი გამოცემულია სურათებით და მხატვრული გაფორმებით.

„დიდმოურავიანი"

იბეჭდება და გამოდის სახელგამში მე-17 საუკუნის ისტორიული პოემა გიორგი სააკაძეზე „დიდმოურავიანი" გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით, კომენტარიებით, ლექსიკონით და საძიებელით.

პ.-მგ. რედაქტორი შალვა რადიანი
პ.-მგ. მდივანი ნიკოლოზ ჩაჩავა

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 330043